საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 22 მაისი, 2014 წელი.

№99 (7480)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

რას აკეთებდნენ ქართველი „კონტრმზვერავები“ ნაციონალთა ხელისუფ-ლების დრო?

3

რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება და „ტრანს-კასპიური გაზსადენი“

4

„ევროკავშირში შესვლის ფასი“

5

უკრაინა და საქართველო - ტრაგიკული პარალელები

8

მანიპულაციები ტურისტების თაობაზე

11

საქართველოში „პურის ჭამა“ აზერბაიჯანელების ხელშია

2

გამოცოცხლება ქართულ მეხუთე კოლონაში

საიდან დაუბერავს ქარიშხალი?

ალიანსის ხელმძღვანელი ღიად საუბრობს რუსეთისგან მოსალოდნელ საფრთხეებზე

6

მიწას რომ ჰყიდი, უკეთესს რას ყიდულობ?!

7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიანჩალიანი

ევროინტეგრაციის შესახებ სიუჟეტები ხუთ ენაზე მომზადდება

საძართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინიციატივით, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „დიალოგისა და განვითარების ფონდი“ ერთობლივად მოამზადებენ სიუჟეტებს ევროკავშირისა და ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროექტის მიზანია ეროვნული უმცირესობების ინფორმირება საქართველოს ევროპული არჩევნის, ევროინტეგრაციის პროცესისა და იმ სარგებლის შესახებ, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა საქართველოს მოქალაქეებს მოუტანს.

საბოლოო გადაწყვეტილება გუშინ ეროვნული უმცირესობების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის სოფიო შამანიდისა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის შეხვედრაზე მიიღეს.

სოფიო შამანიდის განცხადებით, ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მუშაობენ, ყურადღებას სწორედ ამ მიმართულებით ამახვილებენ.

„საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ „მეორე არხით“ ხუთ ენაზე ითარგმნება.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან მემორანდუმი გაფორმდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, დოკუმენტს ხელი თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელაგაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რიკე ისჰოიმ მოაწერეს. მემორანდუმის მიზანია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების დანერგვის, გავრცელების, განვითარების ხელშეწყობა და განხორციელება.

ამ მიზნით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლების თანამონაწილეობით სამუშაო ჯგუფი შეიქმნება, რომელიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გავრცელებასა და ინტეგრირებას უზრუნველყოფს.

„დარიალჰესის“ მშენებლობა მაქსიმუმ 10 დღეში განახლდება

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილმა განუცხადა.

რაც შეეხება ჰესის მშენებლობაზე დასაქმებულ პირებს, რომლებიც სტიქიის შედეგად დაკარგულად ითვლებიან, მინისტრის მოადგილის განმარტებით, 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს ტერიტორიის წყლისგან გაწმენდა, რომ დაკარგულების პოვნა მოხერხდეს.

„ადგილზე სპეცტექნიკაა მობილიზებული და 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ. ჩვენს მთავარ მიზანს ახლა სწორედ დაკარგულების პოვნა წარმოადგენს, — აღნიშნა ილია ელოშვილმა.

◎ საჯარო სექტორი

ხელფასების პოლიტიკა

ამ დღეებში განსჯის საგანი გახდა საჯარო სექტორში დარიგებული პრემიებისა და დანამატების თემა. 2013 წელს 14 სამინისტროს თანამდებობის პირებზე პრემიის სახით გაცემულია 5 მილიონ 729 131 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატის სახით — 3 მილიონ 135000-ზე მეტი ლარი.

ცხადია, საჯარო სექტორში შრომისა და თანამდებობის ადეკვატური ანაზღაურების არსებობა ანტიკორუფციული პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია, თუმცა, დღეს დამატებითი სტიმულების შესაქმნელად საკმაოდ არასახარბიელო დროა: მოგეხსენებათ, 2013 წლის ბიუჯეტს 700 მილიონამდე შემოსავალი დააკლდა, 2014 წლის ბიუჯეტის შესავსებად კი მთავრობა სესხს იღებს. ამ ფონზე ხელისუფლებამ არა მხოლოდ პრემიები გასცა, არამედ, აღსანიშნავია, რომ ზოგადად საჯარო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი და ანაზღაურებაც გაზარდა, კერძოდ:

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, 2013 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 137,6 მლნ ლარით გაიზარდა შრომის ანაზღაურების ფონდი, ხოლო 1213 ერთეულით — საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ოდენობა. ბუნებრივია, 137,6 მლნ ლარი არ მოხმარება დამატებით დაქირავებული 1213 თანამშრომლის სახელფასო ანაზღაურებას. გაზრდილი სახსრები მიმართული იქნა სხვადასხვა უწყებაში ანაზღაურების მატებაზე. მაგალითად, საქართველოს პარლამენტში საშუალო ხელფასმა 25%-ით მოიმატა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საშუალო ანაზღაურება გაიზარდა 62%-ით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საშუალო ანაზღაურება გაიზარდა 53%-ით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში — 27%-ით, საქართველოს დაზვერვის სამსახურში — 21%-ით. გარდა ამისა, 38%-ით გაიზარდა საშუალო ანაზღაურება საკონსტიტუციო სასამართლოში, 29%-ით — უზენაეს სასამართლოში, 67%-ით — საერთო სასამართლოებში და 89%-ით — საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

საშუალო ხელფასების მოცულობას თუ გადავხედავთ, ანუ თუ გავყოფთ შრომის ანაზღაურების საერთო რაოდენობას დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე, საკმაოდ უხეში გათვლებით, ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი საქართველოში მთავრობის კანცელარიაშია — 2708 ლარის ფარგლებში; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში საშუალო ხელფასი 2600 ლარამდეა; შემდეგ — ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში — 2460 ლარამდე; საქართველოს უმაღლეს სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში — დაახლოებით, 2200 ლარი და საქართველოს პარლამენტში, საშუალოდ, დასაქმებულზე — 2077 ლარი; საშუალოდ, ყველაზე დაბალი ანაზღაურებით კი გამოირჩევა გარემოს დაცვის სამინისტრო (716 ლარი); ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო (794 ლარი); საგარეო საქმეთა სამინისტრო (777 ლარი); თავდაცვის სამინისტრო (820 ლარი) და განათლების სამინისტრო (928 ლარი).

სხვათა შორის, მსგავსი დისბალანსი შენარჩუნებულია პრემიების დროსაც. მაგალითად, ენერგეტიკის მინისტრის სამ მოადგილეზე 2013 წელს პრემიის სახით გაცემულია 186 080 ლარი, მაშინ როდესაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ოთხი მოადგილის 2013 წელს პრემიის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 22 220 ლარი.

მოყვანილი ციფრებიც ცხადყოფს, რომ ქვეყნის საჯარო სექტორში მნიშვნელოვანი სახელფასო რეფორმაა გასატარებელი და სტიმულირების სტანდარტები — დასადგენი. ეს სტანდარტები კორუფციული რისკების დაზღვევასაც უნდა მოემსახუროს, მაგრამ, ამასთანავე, ბიუჯეტის შესაძლებლობებსა და სამართლიანი განაწილების პრინციპსაც უნდა უპასუხოს. ამასთან დაკავშირებით უკვე გაკეთდა განცხადება, რომ მთავრობა თანამდებობრივი სარგოებისა და პრემიების ერთიან წესს შეიმუშავებს.

ირინა გურული,
რადიო „თავისუფლება“

◎ მოულოდნელი რაკურსით

საქართველოში „პურის ჭამა“ აზერბაიჯანელების ხელშია

ხორბლის ბაზარზე მუდმივად დაძაბული ვითარებაა. ქართველმა მეწარმეებმა აზერბაიჯანულ მონოპოლიას ვერაფერი მოუხერხეს. პირიქით, ისინი პოზიციებს უფრო და უფრო კარგავენ. გამოსავალი ანტიმონოპოლიური კანონი და სააგენტოა, მაგრამ საკითხს მყისიერად ვერც ის გადაჭრის.

თავის დროზე აზერბაიჯანის მინი მეჯლისის დეპუტატის ასაბილ კასუმოვის ჰოლდინგი საქართველოში დიდი ფინანსური რესურსით შემოვიდა და ორიოდე წელიწადში ყველაზე დიდი მოცულობის წისქვილკომბინატების გამოსყიდვა მოახერხა. ქვეყანაში არსებული ხუთი უმსხვილესი წისქვილკომბინატიდან ოთხი ერთმანეთის მიყოლებით მის ხელში აღმოჩნდა.

წისქვილკომბინატების ასოციაციის მონაცემებით, საერთო ჯამში „კარატ-ჰოლდინგის“ ხელშია ფქვილის ბაზრის დაახლოებით 70% და საქართველოში არსებული ელევატორების თითქმის 90% (ფოთის საპორტო ელევატორის გარდა). ოთხივე საწარმოს დღიურად 1200 ტონამდე ხორბლის გადამუშავება შეუძლია, რაც ქვეყნის დღიურ მოხმარებას სრულად აკმაყოფილებს.

წისქვილკომბინატ „პროგრესის“ დირექტორი დემურ ქურდაძე აზერბაიჯანულ კომპანიას მონოპოლისტად მიიჩნევს და აცხადებს, რომ „კარატ-ჰოლდინგი“ კონკურენტებს არაკეთილსინდისიერი მეთოდებით ავიწროებს და გაკოტრებამდე მიჰყავს.

მისი თქმით, 70-დან ბაზარზე 12-13 წისქვილკომბინატი მუშაობს, აზერბაიჯანული კომპანია კი ფასს საკუთარი სურვილის მიხედვით ამცირებს. „თუ ანტიმონოპოლიურმა არ იმუშავა, გამოსავალს ვერ ვხედავ. რაღაც მოუხერხოს მონოპოლისტს, აიძულოს, რომ 35%-ზე იმუშაოს და ჩვენც დაგვიტოვოს ბაზარზე ადგილი, იმისთვის, რომ ვიარსებოთ“, — აცხადებს ქურდაძე.

„მეხორბლეთა ასოციაცია“ ხორბლის ქართულ ბაზარზე არსებულ აზერბაიჯანულ მონოპოლიას აპროტესტებს. ასოციაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა აცხადებს, რომ აზერბაიჯანულ კომპანია „კარატ-ჰოლდინგს“ ბაზრის წილის 60%-ზე მეტი უჭირავს და ქართულ კომპანიებს არაკონკურენტულ გარემოში უწევთ საქმიანობა.

„კარატ-ჰოლდინგი“ ქვეყნის მასშტაბით 4 მსხვილ ხორბლის გადამამუშავებელ ქარხანას ფლობს და დღის განმავლობაში მოსახლეობისთვის საჭირო 1000 ტონაზე მეტ ხორბალს გადაამუშავებს. იგი კანონდარღვევის გარეშე საქმიანობს, რადგან ქვეყანაში ამ დრომდე არ მოქმედებს ანტიმონოპოლიური კანონი, რომლის მიხედვით კომპანიები ბაზრის წილის 40%-ზე მეტის ფლობის შემთხვევაში, მონოპოლისტებად ჩაითვლებიან“, — აცხადებს ლევან სილაგავა.

გაკოტრების პირას მისული წისქვილკომბინატების მფლობელები ერთადერთ გამოსავლად კონკურენციის სააგენტოს ამოქმედებას მიიჩნევენ, რომელმაც, როგორც მთავრობაში ამბობენ, მონოპოლიებისა და კარტელური შეთანხმებების დაშლაზე უნდა იმუშაოს.

უკვე დამტკიცებული კანონის მიხედვით, კანონდამრღვევთა გამოვლინება და შემდგომ მათ წინააღმდეგ საგამოძიებო საქმე კონკურენციის სააგენტომ უნდა აწარმოოს. როგორც კანონპროექტის ავტორები ამბობენ, მას მოკვლევის დაწყება საჩივრის მიღების გარეშეც შეეძლება. თუმცა, მეწარმეები იმასაც ფიქრობენ, რომ კანონის აღსრულება რთული იქნება.

„კარგია, რომ შეიქმნა კონკრეტული უწყება, კონკურენციის საგენტო, რომელსაც აქვს უფლებამოსილება ბაზარზე მონოპოლისტი გამოავლინოს და დააჯარიმოს კიდეც, კარგად არის განსაზღვრული თავად დომინანტი კომპანიის წილი ბაზარზე — 40%, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მიმაჩნია, რომ სააგენტოსთვის კვლევის ჩასატარებლად მიცემული ერთი წელი ძალიან ბევრია“, — აცხადებს კომპანია „აგრიკომის“ დამფუძნებელი კოკი ოსიპოვი.

ვიდრე კონკურენციის სააგენტო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, ხოლო დამრღვევი კომპანიის გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლოს ყველა ინსტანცია საქმეზე იმსჯელებს, ბაზარზე შევიწროვებული კომპანიების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.

„ბიზნესი ერთ ადგილზე ხომ არ დგას, ის გამუდმებით ვითარდება. ერთი წელი ძალიან ბევრია. ამასობაში მონოპოლისტი კიდევ უფრო მოძლიერდება, ჩვენ გვექნება პრობლემა, იმ ეკონომიკურ აგენტებს, ვინც საჩივარით მივმართავთ სააგენტოს. პატრული ხომ არ არის, დავუძახოთ და მივუთითოთ, აი, აშავებს და მიხედეთ-თქო და რეაგირებაც მყისიერად დავინახოთ“, — განაცხადა ბიზნესმენმა.

გეძა დანელიშვილი

◎ ინფორმაცია

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ინფორმაციით, ახალმა ბორდმა გუშინ პირველი სხდომა გამართა და ფარული კენჭისყრის შედეგად, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ გრიგოლ გოგელია აირჩია.

როგორც ახლად არჩეული

ბორდის თავმჯდომარე აცხადებს, მისი მუშაობის მთავარი პრიორიტეტი ამ ეტაპზე ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება იქნება.

მაუწყებლობის შესახებ კანონის მიხედვით, სამეურვეო საბჭოში 9 წევრი უნდა იყოს, თუმცა, პარლამენტმა ამ დროისთვის მხოლოდ 7 დაამტკიცა. მეურვეთა ამ რაოდენობას კი, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს.

ინტერპრესი

რას აკეთებდნენ ქართველი „კონტრმზვერავები“ ნაციონალთა ხელისუფლების დროს?

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ანტიდემოკრატიული რეჟიმების ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ სამართლიანობის აღდგენის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საკითხია.

საქართველოს მოსახლეობას, „ნაციონალური ხელისუფლების“ დამხობის შემდეგ, იმედი გაუჩნდა, რომ 8 წლის განმავლობაში მიმდინარე განუკითხაობის დროს ჩადენილი უმძიმესი ცოდვებისათვის ნაციონალთა მსახურ ჩინოვნიკებს პასუხი მოეკითხებოდათ და თემიდა სამართლიანობის აღდგენას იზეიმებდა, მაგრამ მოლოდინი ჯერჯერობით არ გამართლდა.

საქართველო, სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, ალბათ, გამონაკლისი არ არის. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დამხობილა ანტიხალხური რეჟიმები და დემოკრატიულ მმართველობაზე გადასულან. სამართლიანობის აღდგენის პრობლემის გადაწყვეტა თავის დროზე მოუწიათ იმ ქვეყნებს, რომლებშიც ავტორიტარულ-ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმები ბატონობდნენ – გერმანიასა და იტალიას (ფაშიზმი), ესპანეთს (ფალანგიზმ-ფრანკიზმი), საბერძნეთს („შავი პოლკოვნიკების“ სამხედრო დიქტატურა), ჩილეს (პინოჩეტის სამხედრო ხუნტა), პორტუგალიას (სალაზარის პროფაშისტური რეჟიმი), აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებს – პოლონეთს, ჩეხეთს და ა.შ.

სამართლიანობის აღდგენის პროცესი ითვალისწინებს ანტიდემოკრატიული რეჟიმის მსხვერპლთა საქმეების გადასინჯვას და ხელახალ გამოძიებას, სიმართლის დადგენას, უსამართლობაზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენას, მათ დასჯას და, საბოლოოდ, რეპრესირებულთა რეაბილიტაციას. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვითი სისტემის რადიკალურ ტრანსფორმაციასთან, რადგან ყველაზე მეტად სწორედ ამ სისტემის მოხელეები უშუალოდ არღვევდნენ არა მარტო კანონიერებას, არამედ მორალურ-ზნეობრივ ნორმებს.

საინტერესოა სამართლიანობის აღდგენის უცხოური გამოცდილება:

სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვილი პოლიტიკური გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ წარსულის მძიმე შედეგების გამოსწორება და დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლა ერთმანეთის მსგავსი მეთოდებით მოხდა, თუმცა, რასაკვირველია, მათ შორის განსხვავებაც შესამჩნევია:

ანტიდემოკრატიული პოლიტიკური პარტიების აკრძალვით და მკაცრი პოლიტიკური წმენდების განხორციელებით, სამართალდამცველი და მართლმსაჯულების ორგანოთა რეორგანიზაციით (დენაციფიკაცია და დეფაშიზაცია გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში...);

ლუსტრაციით (მაგალითად, ჩეხეთში მიღებული კანონით, თუ ადამიანის უფლებათა დამრღვევი სამართალდამცველები – პროკურორები, მოსამართლეები, გამომძიებლები – სასამართლოების მიერ რეპრესირებულთა საქმეების გადახედვის შემდეგ ჩადენილ შეცდომებს საჯაროდ მოინანიებდნენ, მათ სამსახურის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემოდათ, თუმცა, ყველას არა: მნიშვნელობა ჰქონდა ჩადენილი შეცდომის სიმძიმეს და იმას, იჩივლებდა თუ არა რეპრესირებული მოქალაქე. თითქმის იგივე მეთოდით განხორციელდა სამართლიანობის აღდგენა პოლონეთში – სამართალდამცველი ორგანოების (სახელმწიფო უშიშროებისა და კონტრდაზვერვის ჩათვლით) ჩინოვნიკებს შეეძლოთ, სამსახური გაეგრძელებინათ, მათ მიმართ სამართლებრივი დევნა არ განხორციელდებოდა, მაგრამ თუ ვინმე დამალავდა ჩადენილ უკანონობას და მისი „საქმენი საგმირონი“ სასამართლოზე მაინც გამჟღავნდებოდა, მაშინ პროკურორ-გამომძიებელთა ბედი სპეციალურ ლუსტრაციულ სასამართლოს გადაეცემოდა და ვაი, მას....

დემოკრატიული პოლიტიკური ძალების ერთობლივი შეთანხმებით, რაც გულისხმობდა საზოგადოებრივ (ეროვნულ) შერიგებას, შეცდომათა მიტევებას (მაგალითად, ესპანეთში ფრანცისკო ფრანკოს რეჟიმის დამხობის შემდეგ ხელი მოეწერა „მონკლოას პაქტს“, მიიღეს კანონები „ხსოვნისა და ამნისტიის შესახებ“, გააუქმეს წინა ხელისუფლების მიერ გამოტანილი სასამართლო განაჩენები. რასაკვირველია, ზოგიერთი ოდიოზური ბობოლა ფრანკისტი ხელისუფლებას ჩამოაშორეს და დააპატიმრეს, მაგრამ ბევრი სახელმწიფო მოხელე, მათ შორის მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვის სისტემის მოსამსახურეები, საჯარო მონაწილეების შემდეგ, თავიანთ ადგილებზე დატოვეს (თუ, რასაკვირველია, მათ მძიმე დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი);

საგანგებო უფლების მქონე სპეციალური სახელმწიფო კომისიების შექმნით, რომელთა მიზანი იყო პოლიტიკური ძალადობისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლა. თუ კომისია გამოავლენდა ამა თუ იმ სახელმწიფო ლიდერისა და მისი ახლო გარემოცვის დანაშაულის ნიშნებს, მისი საქმე სასამართლოს გადაეცემოდა. სახელმწიფო მოსამსახურეებს ვადა მისცეს მოეწანიებინათ ჩადენილი შეცდომები. თუ ისინი დამალავდნენ ანტიდემოკრატიული რეჟიმის სამსახურის პერიოდში ჩადენილ საკუთარ უკანონო ქმედებას, მაგრამ ეს გამჟღავნდებოდა, ამ შემთხვევაში მათ მიმართ უმკაცრესი სამართლებრივი დევნა იწყებოდა. ასე მოხდა ჩილეში და არგენტინაში.

დაახლოებით იგივე მეთოდით ხდებოდა სამართლიანობის აღდგენა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – აპარტეიდის რეჟიმის დამხობის შემდეგ შეიქმნა შემრგებელი, ანუ „სიმართლის კომისიები“, რომლებიც სწავლობენ ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და სახელმწიფოს რეპრესიული ორგანოების მოქმედებას ტოტალიტარული ხელისუფლების დროს.

როგორც ვხედავთ, **უცხოეთში შეწყალება და პატიება საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა, მაგრამ რა უნდა ექნათ პოლიტიკური რეჟიმის მსხვერპლთ, მათ ოჯახებსა და შთამომავლებს? რა უნდა ექნათ სასამართლო შეცდომის მსხვერპლთ?**

ამ შემთხვევაში სახელმწიფო იწყებდა ფართო რეაბილიტაციის პროცესს, რომელიც გულისხმობდა საქმეების გადახედვას, მათში არსებული სამხილების ნამდვილობის შემოწმებას, ექსპერტიზას, ბოლოს კი სასამართლოს მიერ სახელისა და ღირსების საჯაროდ დაბრუნებას, მორალურ-ზნეობრივ და საკმაოდ მოზრდილ ფულად (ფინანსურ) კომპენსაციას. ამგვარი მიდგომით უდანაშაულოდ დასჯილები და შემდგომ რეაბილიტირებულები გარკვეულწილად დაკმაყოფილდნენ და მათ მიმართ უსამართლოდ მიყენებული ტკივილი მეტ-ნაკლებად განეიტრალდა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში მიიღო ამნისტიის შესახებ კანონი, რის საფუძველზეც ათასობით მსჯავრდებული, განსაკუთრებით კი უსამართლოდ, პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებული ადამიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა. ეს კარგია, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ამნისტირებული პირების სამართლებრივი და პოლიტიკური სტატუსი გაურკვეველია – ისინი ჯერჯერობით ჰაერში არიან გამოკიდებულნი, რადგან აუცილებელია სამართლიანობის რეალური აღდგენის პროცესის ბოლომდე მიყვანა, ანუ უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, უნდა დაიწყოს გახმაურებული საქმეების ხელახალი გამოძიება პროკურატურის მიერ, უნდა გამოვლინდეს დაშვებული შეცდომები, უნდა მოიხსნას ცრუ ბრალდებები და შესაბამისი დასკვნები სასამართლოებს უნდა გადაეცეს, რადგან სწორედ სასამართლომ უნდა დაამტკიცოს მათი უდანაშაულობა. ბოლოს კი უნდა მოხდეს პოლიტიკურ-იურიდიული რეაბილიტაცია სახელმწიფოს სახელით. დღეს, როცა უკვე ხელისუფლების შეცვლიდან ნახევარ წელზე მეტია გასული, „ურემი ისევ იქ დგას“ – უსამართლობისა და მძიმე მემკვიდრეობის აღმოფხვრის პროცესი „ბუქსაობს“ და ხშირ შემთხვევებში შეჩერებულია.

საინტერესოა, რატომ ვერ ცვლის კანონს პარლამენტი, რა უშლის ხელს იურიდიული ნორმის ცვლილებას, რა ქვედინებები და უხილავი ბარიერებია, რომელი უწყება „იცავს“ თავისი მუნდირის ღირსებას?

გაჩნდა არც თუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ ხელისუფლება რატომღაც განგებ აყოვნებს „ნაციონალური“ მართლმსაჯულების მიერ კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობების გამოძიებას. მართლაცდა, თუ საქმის გადახედვის შემდეგ რეპრესირებულთა უდანაშაულობა დადგინდება, ბევრ დღევანდელ სამართალდამცველს პასუხისმგებლობა მოუწევს – ეს ეხება როგორც სასამართლო სისტემაში მომუშავეთ, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს, განსაკუთრებით ყოფილი სოდ-ის, კუდ-ის და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მუშაკებს, რომლებიც საქმეებს კერავდნენ (გავიხსენოთ გახმაურებული დაჭერები და ყალბი ბრალდებებით აღძრული საქმეები, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორის – „სიმონ კილაძის საქმე“, ასევე, „ვახტანგ მაისაიას საქმე“, „ენვერის საქმე“, „ფოტოგრაფების საქმე“ და მრავალი სხვა).

სამართლიანობის კლასიკური აღდგენის პირობებში ის გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები პოლიტპატიმრების ამნისტიის შემდეგ საჯაროდ უნდა გამოსულიყვნენ და ან მათ მიერვე შეკერილ-შეთითხნილი ბრალდებები და გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები უნდა დაეცვათ, უნდა განეცხადებინათ და დაესაბუთებინათ, რომ პატიმრობიდან გათავისუფლებული პირები ნამდვილად დამნაშავეები არიან და მათ მიმართ ამნისტია არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ანდა მოენანიებინათ გამოძიების დროს დაშვებული შეცდომები და თანამდებობიდან გადამდგარიყვნენ.

განა ბოლო წლების საქართველოში რომელიმე მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი გვინახავს, რომ გამოსულიყოს, საჯაროდ ეღიარებინოს შეცდომა, პატიება ეთხოვოს და გადადგომა გამოეცხადებინოს?

ასეთი ფაქტები საქართველოს უახლეს ისტორიაში არ არსებობს ან იშვიათია. მუნდირის გაყალბებული „ღირსება“ აშკარაა, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობის მქონე ადამიანისათვის შეცდომის აღიარება საკმაოდ რთულია. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ დროს დღის წესრიგში დგება მისი პროფესიონალიზმი, განათლების დონე, სახელი, ავტორიტეტი და ღირსება...

დასავლეთის ქვეყნებში სამართალდამცველი ორგანოებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელების მიერ დაშვებული შეცდომების აღიარება დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს. ჯერ კიდევ 1894 წელს, როცა ფრანგულმა თემიდამ გენერალური შტაბის ოფიცერი ალფრედ დრეიფუსი გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრა, გაასამართლა და უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაშინაც კი, 100-ზე მეტი წლის წინათ, ფრანგ სამართალდამცველებს, სამხედრო პირებსა და პოლიტიკოსებს საზოგადოების წინაშე ეყოთ იმის გამბედაობა, რომ „მუნდირის ღირსება“ შეენარჩუნებინათ და დაშვებული შეცდომა ეღიარებინათ: 1906 წელს დრეიფუსი გაამართლეს და სრულიად უდანაშაულოდ სცნეს; მას მოეხსნა ყველანაირი ბრალდება, საჯაროდ ბოდიში მოუხადეს, არმიაში აღადგინეს და საპატიო ლეგიონის ორდენითაც დააჯილდოვეს. დღეს თითქოსდა ანაქრონული გამოთქმა „მუნდირის ღირსება“ განზოგადებულ ცნებადაა მიჩნეული და თითქმის ყველა დარგის მუშაკების ქცევის წესებს უკავშირდება.

თუმცა, მასთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად მაინც სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები იგულისხმებიან. სამწუხაროდ, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს რეალობა ჯერჯერობით ნამდვილად არ გვიტოვებს იმის იმედს, რომ ვინმე მაღალი თანამდებობის პირი ჩადენილ გადაცდომას აღიარებს და ამ მოტივით თანამდებობიდან გადადგება პროკურორი და მოსამართლე – „ნაციონალთა“ სისტემის მსხვერპლი.

დღეს ძალიან ხშირად გვესმის, წინა ხელისუფლების დროს სამართალდამცველებიც წნეხს განიცდიდნენ, მათ უკანონობის ჩადენას აიძულებდნენ, ისინი სისტემის მსხვერპლნი არიან და ამიტომ შეცდომები უნდა ვაპატიოთო... ანუ პროკურორები, მოსამართლეები და გამომძიებლები თურმე სისტემის მსხვერპლნი ყოფილან და მათ უნდა ეპატიოთ ჩადენილი უკანონობანი.

ამგვარი მსჯელობა და შეფასება დაუშვებელია. ისინი ვერანაირად ვერ იქნებოდნენ სისტემის მსხვერპლნი, რადგან:

პირველი – თვითონ წარმოადგენდნენ რეპრესიულ-პენიტენციარული სისტემის აქტიურ სუბიექტებს, სწორედ ქვედა რგოლში იკერებოდა საქმეები გამომძიებელ-პროკურორთა ხელით;

მეორე – მათ, როგორც იურისტებმა, მშვენივრად იცოდნენ, რომ კანონდარღვევის შემთხვევაში დაისჯებოდნენ, მაგრამ მაინც შეგნებულად სჩადიოდნენ უსამართლობას და მორჩილად ასრულებდნენ ხელმძღვანელთა ზეპირ უკანონო მითითებებს;

მესამე – მათ ჰქონდათ ალტერნატივა, შეეძლოთ პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან გადადგომა, რათა თავი აერიდებინათ უკანონო ბრძანებების შესრულებისათვის, მაგრამ ეს არ გააკეთეს. რატომ? იმიტომ, რომ ვერ მიატოვეს კარგი ხელფასი, კარგი პრემიები, შეღავათები... „აბა, რა, ოჯახს ულუკმაპურად ხომ არ დავტოვებდით“. ბევრი მათგანი, ალბათ, დღესაც ასე ფიქრობს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი უტიფრად აცხადებს, რომ ისინი არიან სისტემის მსხვერპლი!

ჰოდა, სწორედ ასეთი აზროვნების გამო არიან ისინი დასასჯელები, რადგან მათი გამოისობით უდანაშაულო ადამიანებს ცხოვრება უმწარდებოდათ და ენგრეოდათ. როცა ასეთი გამომძიებელი-პროკურორი-მოსამართლე კვლავ თანამდებობაზეა, თანაც კვლავ უტიფრად იქცევა, ასეთ შემთხვევაში ყოფილ რეპრესირებულებს და ჩვეულებრივ მოქალაქეებს ეჭვი იპყრობს – იმსახურებენ კი ისინი მიტევება-პატიებას?

ვინ არიან სისტემის მსხვერპლნი – საპყრობლეებში ცრუ ბრალდებებით გამომწყვდეული ადამიანები თუ ისინი, რომელთა გამო რეპრესირებულებმა უდიდესი სულიერი ტრამვა მიიღეს, მატერიალურ ზარალზე რომ არაფერი ვთქვათ?

ცნობილი გახდა კურიოზული ფაქტი, რომ „ნაციონალთა“ მმართველობის დროს ლაფანყურის საზარელი ოპერაციის დამგეგმავი მაღალი დონის ჩინოვნიკი, ვინმე ვალერი ზუმბაძე დღეს, „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს, იმავე ოპერაციაში დაშვებული უკანონო ქმედებების გამოძიებას ხელმძღვანელობს... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

იხ. 5 გვ.

რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება და „ტრანსკასპიური გაზსადენი“

რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების ფონზე დამატებითი იმპულსი მიეცა ევროკავშირის რუსეთის გვერდის ამქცევი გაზმომარაგების პროექტების განხილვას. ერთ-ერთი ასეთი პროექტია ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ შემადგენელი პროექტი „ტრანსკასპიური გაზსადენი“, რომელიც რუსეთისა და ირანის მხრივ, უკვე წლებია, იბლოკება. საბაბი ორი საკამათო არგუმენტია: 1) მოსკოვი და თეირანი 1921 და 1940 წლების სსრკ-ირანის შეთანხმებებს ეყრდნობიან და აღნიშნავენ, რომ კასპიაზე რაიმე პროექტის განხორციელება მხოლოდ მოსაზღვრე ქვეყნების კონსენსუსის შედეგი უნდა იყოს; 2) რუსეთი და ირანი თვლიან, რომ კასპიის ფსკერზე მშენებლობა მის უნიკალურ ფლორასა და ფაუნას გამოუსწორებელ ზიანს მოუტანს.

უკრაინის გავლით გაზმომარაგების შესაძლო შეფერხების საკითხებზე იმსჯელეს 2014 წლის 12 მაისს პარიზში გამართულ დსთ-ს ნავთობისა და გაზის სამიტზე. ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ცენტრალურ აზიაში პიერ მორელმა ხაზი გაუსვა, რომ ბრიუსელი დააფინანსებს „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მშენებლობას გარემოსდაცვითი გარანტიების არსებობის პირობებში. მან ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირი არ აქცევს ყურადღებას კასპიის ზღვის (ტბის) სტატუსს და დასაშვებად მიაჩნია „ტრანსკასპიური გაზსადენის“ აზერბაიჯანისა და თურქმენეთის არასადავო შელფზე გაყვანა. მეტიც, პ. მორელის აზრით, ასეთი ორმხრივი გარიგების პრეცედენტია რუსეთისა და ყაზახეთის შეთანხმება პლატფორმების მუშაობაზე კასპიის ჩრდილოეთ სექტორში.

სამიტზე პ. მორელმა 2011 წლის სექტემბერში ბრიუსელის მიერ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ირგვლივ მოლაპარაკებების მანდატის მინიჭება ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნია. უკრაინა ასევე დაინტერესებულია ამ პროექტის განხორციელებით. ამ ქვეყნის ენერგეტიკული უწყების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის განცხადებით, გაზსადენის ყულევის მომავალი თხევადი გაზის ტერმინალთან დაკავშირების შემთხვევაში, კიევი მზადაა, მის მშენებლობაში დააბანდოს 790 მლნ ევრო, რაც მომავალი მშენებლობის ღირებულების 10%-ია.

„ტრანსკასპიური გაზსადენი“ კვლავ რეგიონალური დაპირისპირების საგანია

ენერგორესურსები კოლოსალური მარაგის გამო, კასპიის ზღვის რეგიონი, არაერთი ქვეყნის დაინტერესების საგანია. კერძოდ, 2013 წლის მარტის დასაწყისიდან, ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში რუსული „კასპიის საზღვაო ფლოტილიის“ სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს მოსკოვმა კასპიის ზღვის რეგიონში დისლოცირებული ფლოტილია მნიშვნელოვნად გააძლიერა 5 საბრძოლო ხომალდით და 2 დამხმარე გემით. გარდა ამისა, ფლოტს დაემატა მცირე ზომის სარაკეტო და სადესანტო ხომალდები — „გრად სვიაჟსკი“ და „უგლიჩი“.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, ერთის მხრივ, რუსეთის მთავრობის მზარდ დაინტერესებას კასპიისპირეთისადმი, ხოლო მეორეს მხრივ, პუტინის ჩანაფიქრს — წინ აღუდგეს კასპიის ზღვაზე, თურქმენეთ-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი, რუსეთის გვერდის ამქცევი „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მშენებლობას. მოსკოვის მიზანია, მოახდინოს საკუთარი ძალების დემონსტრირება კასპიის რეგიონის მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით კი აღნიშნული მილსადენის პროექტის მონაწილე — აზერბაიჯანის წინაშე. თავის მხრივ ბაქო, როგორც ცნობილია, კასპიის ზღვაზე საკუთარი საზღვრების დასაცავად საჭირო აღჭურვილობას აშშ-საგან იღებს, რაც მოსკოვის დამატებით გაღიზიანებას იწვევს.

„ტრანსკასპიურ გაზსადენში“ მოსკოვმა თავისი „მეტოქე“ ამოიცნო

ევროპის რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით შექმნილი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ფარგლებში დაგეგმილი პროექტებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას, კასპიის ზღვის ფსკერზე, 300 კმ-იანი „ტრანსკასპიური მილსადენის“ მშენებლობა წარმოადგენს. მისი მიზანია კასპიის ზღვის აღმოსავლეთ და დასვლეთ სანაპიროების ურთიერთდაკავშირება. აღნიშნული პროექტის მნიშვნელობას განაპირობებს ევროპის ენერგორესურსებით მომარაგების ალტერნატიულ ინიციატივაში არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ თურქმენეთის ჩართვაც.

„ტრანსკასპიური მილსადენის“ მშენებლობა არა მხოლოდ ევროპის, არამედ დონორი და ტრანზიტორი ქვეყნებისთვის სარგებელსაც გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, საქართველოსათვის აღნიშნული პროექტის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კასპიისპირეთიდან გაზის ტრანსპორტირება ევროპისკენ სწორედ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენით“ (ბაქო-თბილისი-ერზერუმი) უნდა მოხდეს. ამჟამად საქართველო აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტის გასამრჯელოდ უფასოდ იღებს იმ გაზის მოცულობის 5%-ს, რომელიც ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენით მიეწოდება თურქეთს (დაახლოებით 330 მლნ კუბური მეტრი). ჩვენს ქვეყანას ასევე შეუძლია ყოველწლიურად ფასდაკლებით 0,5 მილიარდი კუბური მეტრი აირი შეიძინოს.

„ტრანსკასპიური მილსადენის“ პროექტის განხორციელებისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 2011 წლის სექტემბერში ევროკავშირის საბჭოს მიერ ევროკომისიისათვის, აზერბაიჯანთან და თურქმენეთთან, გაზის კონტრაქტების გაფორმებისათვის მინიჭებული მანდატი. ამ მანდატით უკვე ორი წლის მანძილზე მიმდინარეობს მხარეებს შორის მოლაპარაკებები, თუმცა, გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, ამ პროექტის განხორციელება პრობლემატურ საკითხებს ვერ გასცდა.

აშხაბადი და ბრიუსელი

„ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტის განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, მონაწილე მხარეებთან დაკავშირებული პრობლემები უშლის ხელს. ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხებში, გიუნტერ ეტინგერი თურქმენეთში იმ-

ყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი „კონსტრუქციულად“ შეფასდა, აშხაბადი კვლავ ელის ევროკავშირისგან თურქმენულ გაზზე მოთხოვნის არსებობის გარანტიას (აღნიშნული მილსადენით თურქმენეთი ყოველწლიურად 30 მლრდ. კუბ.მეტრი გაზის გატარებას გეგმავს), ხოლო ევროპა, თავის მხრივ, თურქმენეთისაგან გაზის მიწოდების გარანტიის საჭიროებაზე საუბრობს. სწორედ ასეთი ორმხრივი გარანტიების არარსებობა წარმოადგენს „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას.

მოსკოვი აქტიურად ეწინააღმდეგება „სამხრეთის გაზის დერეფანს“, და აქედან გამომდინარე, „ტრანსკასპიური მილსადენის“ პროექტს. სწორედ ამით აიხსნება რუსეთის სამხედრო ფლოტილიის გაძლიერება კასპიის ზღვაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვი არ დაუშვებს „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მშენებლობას. მისი აგების დაბრკოლებას ის კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის გამოყენებით აპირებს. კერძოდ, მინისტრის აზრით, ზღვის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები ხუთივე საზღვაო ქვეყნის (აზერბაიჯანი, ირანი, ყაზახეთი, რუსეთი, თურქმენეთი) თანხმობის შედეგად უნდა გადაწყდეს.

მსგავსი პოზიცია გაახმოვანა რუსეთის ელჩმა თურქმენეთში, ალექსანდრე ბლოხინმაც, რომელმაც „ტრანსკასპიურ გაზსადენს“ ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის „უსარგებლო პროექტი“ უწოდა. ელჩის აზრით, აღნიშნული ინიციატივა კასპიის რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობებს მხოლოდ დაძაბავს, ხოლო დაპირებულ 10 მლრდ კუბმეტრ გაზს ევროპისათვის გადამწყვეტი მნიშვენლობა არ ექნება.

ამასთან, მოსკოვი დასავლეთსაც აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ევროპა და ამერიკა არ ითვალისწინებენ არც საერთაშორისო სამართალსა და არც გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, როდესაც „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტის განხორციელებას უჭერენ მხარს.

თუმცა, აშშ აგრძელებს ევროკავშირის ენერგოდამოუკიდებლობის მხარდაჭერას. ამავდროულად, აშშ გამოთქვამს მზაობას, კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნებს აღმოუჩნოს ფინანსური, თუ ტექნიკური მხარდაჭერა იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების წვრთნისა და აღჭურვის საქმეში, რომლებიც რეგიონიდან ენერგორესურსების ექსპორტისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის დაცვას უზრუნველყოფენ.

მოსკოვის პოზიციას ირანიც იზიარებს და თვლის, რომ „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტი არარეალურია, ვინაიდან რუსეთი და ირანი ზღვის ფსკერზე ასეთი მილსადენის მშენებლობას არ დაუშვებენ, თუნდაც გარემოზე ზემოქმედების საკითხების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, თეირანს თურქმენული გაზის ევროპაში ტრანსპორტირების საკუთარი მოდელიც აქვს. კერძოდ, ირანის სახელმწიფო გაზის ექსპორტის კომპანიის (NIGEC) დირექტორის განცხადებით, აშხაბადიდან გაზის თურქეთის ტერიტორიაზე („ტრანსანატოლიურ მილსადენთან“ დაკავშირებით), იქიდან კი ევროპაში ტრანსპორტირება მხოლოდ ირანის ტერტორიის გავლითაა შესაძლებელი. ეს, თავის მხრივ, რუსეთის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება, რომლისთვისაც ევროპისაკენ გაზის ყოველგვარი ალტერნატიული მარშრუტი დაუშვებელია.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ევროპასაც და აზერბაიჯანსაც საერთო პოზიცია აქვთ, რაც თეირანთან ყოველგვარ თანამშრომლობას გამორიცხავს. თავის დროზე ბაქოში ოფიციალური განაცხადებაც კი გაკეთდა, რომლის მიხედვითაც, „ტრანსანატოლიურ გაზსადენში“ ირანული მხარის მონაწილეობა, მიუხედავად თეირანის მონდომების და დათმობებისა, დაუშვებელია.

რა ვერ „გაიყო“ ორმა მეზობელმა

კასპიის ზღვის ფსკერზე მილსადენის მშენებლობის იდეა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიბადა, თუმცა, აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის მაშინ არსებული უთანხმოების გამო, მისი განხორციელება ვერ მოხდა. ბოლო წლების მანძილზე ევროკავშირმა აქტიური მცდელობის შედეგად, მოახერხა და აშხაბადი ბაქოსთან ისევ აღნიშნული თემის ირგვლივ გააერთიანა. თუმცა, ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა ისევ გრძელდება, რისი ნათელი მაგალითიც იყო თურქმენეთის მიერ კასპიის ზღვაზე ჩატარებული სამხედრო წვრთნა — „ხაზარი-2012“. ეს მანევრები, ექსპერტთა აზრით, სხვა არაფერი იყო, თუ არა აშხაბადის მიერ ბაქოს წინაშე საკუთარი სამხედრო ძალის დემონსტრირება.

აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის დაპირისპირება პოსტსაბჭოურ პერიოდში დაიწყო — მას შემდეგ, რაც ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. კერძოდ, ბაქოსა და აშხაბადს შორის ურთიერთობები კასპიის ზღვის იმ რეგიონების გამო დაიძაბა, რომლებიც ენერგორესურსებით მდიდარია და რომლებზეც ორივე სახელმწიფო პრეტენზიას აცხადებს.

საუბარია „სერდარის“, „ჩირაგისა“ და „ომარის“ საბადოებზე. ორი მათგანი — „ჩირაგი“ და „ომარი“, აზერბაიჯანის მიერ მუშავდება. ეს კი თურქმენეთის უკმაყოფილებას იწვევს. „სერდარის“ აშხაბადის მიერ დამუშავების დაწყებას კი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ხელახალი გამწვავება მოჰყვა. კერძოდ, აზერბაიჯანული მხარის განცხადებით, აშხაბადის ნაბიჯი 2008 წლის ხელშეკრულების დარღვევას ნიშნავს, რომლის მიხედვითაც, მხარეები საბადოზე სამუშაოების დაწყებისაგან თავს შეიკავებდნენ, სანამ ამ საბადოს კუთვნილება არ გაირკვეოდა.

გარდა ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური ინტერესებისა, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტი ტექნიკურ და ფინანსურ პრობლემებთანაც არის დაკავშირებული. კერძოდ, აშშ-ის ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს გაანგარიშებით, პროექტის ღირებულება 5 მილიარდი დოლარია. თუმცა, სხვადასხვა ექსპერტთა შეფასებით, ამ მაჩვენებელმა შეიძლება 8 მილიარდსაც მიაღწიოს. განსხვავებული აზრი აქვთ თავად პროექტში მონაწილე მხარეებსაც. მაგალითად, აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრის ნატიგ ალიევის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მშენებლობა 1-2 მილიარდი დოლარით კიდევ გაძვირდება.

დასკვნა

ამრიგად, დასავლეთის მხრივ (რომელსაც ტრანზიტორი ქვეყნები და მათ შორის საქართველოც, აქტიურად უჭერენ მხარს) „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მშენებლობის მრავალწლიანი მცდელობების მიუხედავად, ალტერნატიული „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება პრობლემებს უკავშირდება. კასპიის ზღვის (ტბის) სამართლებრივი სტატუსის საკითხის არსებობის გამო, აღნიშნული პროექტის განხორციელება დღემდე ეჭვქვეშ იდგა.

უკრაინა-რუსეთის დაპირისპირებამ, როგორც ზემოაღნიშნულ პარიზის სამიტზე გაჟღერდა, შესაძლოა, ამ პროექტისადმი ევროკავშირის ინტერესი კვლავ გააძლიეროს, რაც საქართველოს პრაგმატულ ინტერესებშია. თუმცა, ეს ყოველივე კასპიისპირეთის რეგიონში კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, რაც შეიძლება სამხედრო დაპირისპირებამდეც მივიდეს. მით უფრო, რომ ბოლო პერიოდში არაერთი რუსი პოლიტიკოსი ღიად საუბრობს მილსადენის მშენებლობის შესაჩერებლად რუსული სამხედრო ძალების გამოყენებაზე. კასპიის ზღვის რეგიონის მილიტარიზაცია კი ევრაზიის მასშტაბით შეიძლება უფრო მძაფრი გეოპოლიტიკური დაპირისპირებების გამომწვევი გახდეს.

ზურაბ გარაყანიძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

◎ საით მივდივართ?

„ევროკავშირში შესვლის ფასი“

DCFTA მოქმედებაში

დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სერიოზული ახალი გამოწვევა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაა (DCFTA). ძალიან ცოტა დროა დარჩენილი შეთანხმების ხელმოწერამდე და შემდგომ უკვე ამოქმედებამდე.

ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული შეთანხმების ირგვლივ დისკუსიის ნაკლებობაა, თუმცა, კვალიფიციური დისკუსიის დეფიციტი ნამდვილად სახეზეა. შესაბამისად, აღნიშნულის ფონზე ჩნდება ორმხრივი მითები გადაჭარბებული სარგებლისა და „ეკონომიკური კატასტროფის“ შესახებ.

ყველაზე მცდარი ინფორმაცია, რომელიც მაღალი ალბათობით არც თუ შემთხვევით ვრცელდება, არის ის, რომ საქართველოს არ აქვს შესაბამისი პროდუქცია, რომელსაც გაიტანს ევროკავშირში, რომელიც ასევე „შორია“ საქართველოდან, მაშინ როდესაც რუსული ბაზარი „აქვეა“ და იქ ყველაფრის გაყიდვა შეგვიძლია. ამ სუსტი მოსაზრების საპირისპიროდ, მხოლოდ მცირე შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ბაზრის გახსნის ფონზეც კი, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში საქართველოს ექსპორტის 20 პროცენტი მოდის ევროკავშირზე და ეს ციფრი ორჯერ მეტია რუსეთში ექსპორტის ანალოგიურ მაჩვენებელზე. დროის იმავე პერიოდისთვის ევროკავშირის წილი საქართველოს იმპორტში 27 პროცენტია, ეს ციფრი კი, თითქმის ოთხჯერ აღემატება რუსეთიდან იმპორტის ანალოგიურ მაჩვენებელს და უტოლდება მთლიანად დსთ-დან იმპორტის მაჩვენებელს.

ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, საინტერესო იქნება, მრავალმხრივი სპეკულაციების ფონზე რეალურად შევაფასოთ, თუ რას გვთავაზობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომლებიც „კატასტროფის“ მომტანად მიიჩნევა.

DCFTA-ის რეგულირების სფეროებს მიეკუთვნება საქონლით ვაჭრობა (ტარიფები), საქონლის წარმოშობის წესები, საბაჟო საკითხები და ვაჭრობის ხელშეწყობა, მომსახურებით ვაჭრობა, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, ვაჭრობის დამცავი ინსტრუმენტები, კონკურენცია, სახელმწიფო შესყიდვები, ვაჭრობა და მდგრადი განვითარება, ენერგეტიკა, გამჭირვალობა, დავების მოგვარება.

საქონლით ვაჭრობის პირობების მიხედვით, შეთანხმების შემდგომ არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება, დააწესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა ეკვივალენტური გადასახადი საქონლის ექსპორტზე. ასევე, შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე ევროკავშირში წარმოშობილი საქონლის იმპორტზე საქართველოში საბაჟო გადასახადი გაუქმდება, ხოლო საქართველოში წარმოშობილი საქონლის იმპორტზე ევროკავშირში საბაჟო გადასახადი გაუქმდება (გარდა ნიორისა, რომელზეც საბაჟო გადასახადი გაუქმდება ქვოტის ფარგლებში). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოდან ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქციის ნაწილზე განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებები: ევროკავშირში „შესვლის ფასი“ (entry price ad valorem free) და გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი (anti-circumvention mechanism).

გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმის თანახმად, კალენდარული წლის დასაწყისიდან გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული ერთი ან მეტი პროდუქტის იმპორტი საქართველოდან ევროკავშირში მიაღწევს ფიქსირებული რაოდენობის 70%-ს, ევროკომისია ატყობინებს საქართველოს მთავრობას კონკრეტული პროდუქტის იმპორტის მოცულობის შესახებ. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მხრიდან იქნება არგუმენტირებული დასაბუთება წარმოებული პროდუქციის ზრდის შესახებ, ქვეყანას შეეძლება, უპრობლემოდ განახორციელოს არსებული მექანიზმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობის პროდუქციის იმპორტი ევროკავშირში ასევე საბაჟო გადასახადის გარეშე.

შეთანხმების თანახმად, სოფლის მეურნეობისა და კვების გადამამუშავებელი პროდუქციის 277 სატარიფო ხაზი ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს, თუმცა, რეალურად, ეს არის სრული სატარიფო ნუსხის მხოლოდ 3%. ამასთან, ზემოთ აღნიშნული წესის თანახმად, სრულად შესაძლებელია, წარმოების მოცულობის რეალური ზრდის პირობებში ქართული პროდუქციის ექსპორტს ევროკავშირში არანაირი შეზღუდვა არ შეეხოს. შესაბამისად, აპელირება იმ საკითხზე, რომ გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი დისკრიმინაციულია, აბსოლუტურად უსაფუძვლოა. რეალურად, ეს არის დაცვა ფალსიფიკაციისაგან, რაც სრულიად ლოგიკურად ჩვენს ინტერესებშიც უნდა იყოს.

რაც შეეხება ევროკავშირში „შესვლის ფასს“, ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში წარმოშობილი პროდუქციის საინვოისო ფასი, ევროკავშირში იმპორტისას, ევროკავშირის მიერ დადგენილ ფიქსირებულ ფასზე დაბალი იქნება, იმპორტიორი გადაიხდის სხვაობას საინვოისო და ფიქსირებულ ფასს შორის, ხოლო თუ თანაბარი ან უფრო მაღალი იქნება, პროდუქცია „შესვლის ფასის“ მექანიზმისგან თავისუფლდება. ევროკავშირში „შესვლის ფასის“ გაანგარიშება იმპორტირებული პროდუქციის სეზონურობის მიხედვით იცვლება. შესაძლოა, ბევრი ვიმსჯელოთ აღნიშნული მექანიზმის საბაზრო მიზანშეწონილობაზე, თუმცა, ერთი რამ გასათვალისწინებელია – მექანიზმი ქმნის თანაბარ საწყის ფასისმიერ პირობებს პროდუქციისათვის, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე ხვდება, სხვა ყველა საკითხი კი კვლავ ხარისხის, შემდგომ მოქნილ ფასისმიერი პოლიტიკისა და თავისუფალი კონკურენციის თემაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირში „შესვლის ფასი“ შეადგენს სრული სატარიფო ნუსხის მხოლოდ 0.3%-ს.

რეალურად, მითები, რომ ევროკავშირი ყველა საშუალებას იყენებს, რათა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი შეიზღუდოს, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი იმპორტისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნას, სრულიად უადგილოა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა ობიექტურად არის გამოწვევა ქართული ბიზნესისათვის, აწარმოონ და გაყიდონ პროდუქცია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ, ყველაზე სტაბილურ და ყველაზე მაღალი მსყიდველობითი უნარით გამორჩეულ ბაზარზე. ამ ფაქტს ორი სოლიდური ორგანიზაციის ECORYS და CASE-ის კვლევაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც DCFTA-ის შემდგომ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის პროცენტული მაჩვენებელი იქნება მეტი, ვიდრე იმპორტის პროცენტული მაჩვენებელი.

გიორგი აბაშიშვილი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

◎ სამართლიანობა უსამართლოდ ფერხდება

რას აკეთებდნენ ქართველი „კონტრმზვერავები“ ნაციონალთა ხელისუფლების დროს?

(მესამე გვერდიდან)

სამართლიანობის აღდგენის პრინციპი მოითხოვს, რომ ვალერი ზუმბაძეები და სხვა მრავალი მსგავსი პიროვნებები სამინისტროდან უნდა გააძევონ. ამას არ სჭირდება უმაღლესი მათემატიკა – უნდა მოეწყოს მათი ლუსტრაცია და გამოკვლეულ იქნას, რომელი ქართველი „კონტრმზვერავი“ რას აკეთებდა „ნაციონალთა“ ხელისუფლების დროს, ანუ მათი „საქმენი საგმირონი“ უნდა გამომზეურდეს.

სამწუხაროდ, დღეს არავის აღარ უკვირს, რომ რომელიმე ადამიანის მიმართ ცრუ ბრალდებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელი, რომელმაც, ზემოდან მითითებით, დაკავებულის მიმართ ყალბი „მტკიცებულებები“ შეკრიბა, მას არჩადენილი დანაშაულის აღიარება აიძულა, აღიარების ტექსტი დაუწერა და ვიდეოკამერის წინ წააკითხა, დღეს უკვე დაწინაურებულია, ახალ თანამდებობას ეჩვევა და ალბათ, კვლავ „დაუდგენელი ქვეყნის ჯაშუშების“ დაჭერის გეგმებს ადგენს. ამას ვუწოდებთ სამართლიანობის აღდგენას?

კიდევ ერთი ფაქტი: **ჯერჯერობით თანამდებობებზე ბევრი ისეთი მოსამართლე მუშაობს, რომლებიც „ნაციონალთა“ კადრებად მოიაზრებიან, რომლებმაც ბევრი უსამართლო განაჩენი გამოიტანეს და დღესაც კბილებით იცავენ „ნაციონალური“ ხელისუფლების წარმომადგენლებს, არ სურთ უსამართლოდ რეპრესირებულების სტატუსის შეცვლა. რეაბილიტაცია და კომპენსაცია – განუხორციელებელი ქართული ოცნებაა. აშკარაა, რომ უკანონოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაციის პროცესი ახალი სამართლებრივი ნორმებით უზრუნველყოფას მოითხოვს.**

საქართველოში რეაბილიტაციის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე თავის 219-228 მუხლები, თუმცა, მათი დისპოზიცია არასრულია. გარდა ამისა, საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში პოლიტიკური მოტივით რეპრესირებულთა რეაბილიტაცია ფაქტობრივად არ მომხდარა, შესაბამისად, ზემოხსენებული მუხლები „მკვდრადშობილ“ ნორმებს წარმოადგენს.

ალბათ, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციისათვის სპეციალური კანონი თუ არა, რაიმე განსაკუთრებული სამართლებრივი აქტი მაინცაა მისაღები, განსაკუთრებით ეს ეხება „ნაციონალთა“ ხელისუფლების დროს დაშვებული რეპრესიების მსხვერპლთ.

პროკურატურაში უამრავი საჩივარი და თხოვნაა შეტანილი საქმეების ხელახლა გამოძიების შესახებ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მათ უკვე მტვერი დაედოთ და სადღაც თაროებზე დევს უმოძრაოდ. „სამართლიანობის აღსადგენად წინა ხელისუფლების მიერ მიღებული კანონია შესაცვლელიო“, – აცხადებენ პროკურატურაში.

„როგორი პრინციპით უნდა მოხდეს სამართლიანობის აღდგენა, ჯერ ვერ გავარკვიეთო“, – ამბობენ იუსტიციის სამინისტროში.

„პრინციპები რომც შემუშავდეს, სამართლიანობის აღდგენის შემდეგ მოთხოვნილ კომპენსაციას საქართველოს ბიუჯეტი არ ეყოფა, ამიტომაც კანონს ვერ შევცვლითო“, – ამტკიცებენ პარლამენტში.

ამას წინათ პარლამენტის ერთ-ერთმა ვიცე-სპიკერმა განაცხადა, მეტი რაღა გინდათ, პოლიტპატიმრები ხომ გამოვუშვით ციხიდან, განა ეს სამართლიანობის აღდგენა არ არისო? კი, გამოუშვით და სამართლიანობის აღდგენის გზაზე პირველი ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ საქმე ბოლომდე ხომ უნდა მიიყვანოთ? ახლა ის გამოშვებული ხალხი ჭეშმარიტების დადგენას ელოდება: პროკურატურის მიერ საქმეების გადახედვას, სასამართლოებში გადაგზავნას და მოსამართლეთა გადაწყვეტილებას...

ნახევრად გაკეთებული საქმე რომ კარგის მომტანი არაა, ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, მაგრამ მაინც ჯიუტად არ ცვლის კანონს. რაც შეეხება კანონმდებლებისა და აღმასრულებლების მტკიცებას, ბიუჯეტი არ ეყოფა კომპენსაციების გადახდასო, აქ ყოფილი პატიმრების მხრიდან იმდენად ქონების ან თანხის ანაზღაურებაზე არაა საუბარი, რამდენადაც პრინციპის დაკანონებაზე: **არავინ ითხოვს კომპენსაციის მიღებას დაუყოვნებლივ, მთავარია, კანონში დაფიქსირდეს კომპენსაციის საფუძველი, გადახდის წესი და ვადები. ბოლოსდაბოლოს, თუ ადამიანს სასამართლო იმ ბრალდებას მოუხსნის, რომელიც „ნაციონალური“ თემიდის მსახურებმა ხელოვნურად შეუდგინეს, მაშინ კომპენსაციის მიღება წლების განმავლობაში ნელ-ნელაც შეიძლება.**

დასკვნები: **ფაქტია, რომ საქართველოს მმართველმა კოალიციამ სამართლიანობის აღდგენის საკითხში ამომრჩეველისადმი წინასაარჩევნოდ მიცემული ერთ-ერთი მთავარი დაპირება ვერ ან არ შეასრულა და ათასობით ადამიანი იმედგაცრუებული დატოვა.** ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ამ პრობლემის მიმართ ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ სამართლიანობის აღდგენა არ მოხდება. აშკარაა, რომ ეს პრობლემა ხელისუფლებამ ამინისტიის გზით ნაწილობრივ მოგვარებულად ჩათვალა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე მას აღარ დაუბრუნდება. ასეთი სიტუაციის ჩამოყალიბებაში, ალბათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გარედან ნაკარნახევი და შიგნიდან მოწონებული კოჰაბიტაციის პრინციპის დამახინჯებულმა დანერგვამ, რომელიც „ნაციონალების“ მიერ ჩადენილი დანაშაულებების მიჩქმალვასა და მათ დავიწყებას ემსახურება.

საბოლოო ჯამში, თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა დამყარებული არ იქნება დემოკრატიული კანონის უზენაესობაზე, თუ დაცული არ იქნება ბალანსი სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს შორის; თუ სახელმწიფო, საზოგადოება და პიროვნება ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებელი არ იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ იგივე ხელისუფლებას მივიღებთ, რომლის წინააღმდეგაც ვიბრძოდით. **გულშემატკივრის პოზიციიდან მინდა „ქართულ ოცნებას“ ვუთხრა: როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, ასეთ შემთხვევაში ამომრჩევლის და საერთოდ, მოქალაქეთა რეაგირებას მმართველი პარტიის შეცდომებზე შეიძლება ხელისუფლების პოლიტიკური სიკვდილი მოჰყვეს. ეს „ქართულმა ოცნებამ“ კარგად უნდა გააცნობიეროს.**

სიმონ კილაძე

◎ საქართველო და მსოფლიო

საიდან დაუბერავს ქარიშხალი?

საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების წინ რუსეთის მხრიდან მკვეთრ პროვოკაციებს არ ელოდება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, რუსეთის ყველა ძირითადი ბერკეტი ამ ეტაპზე უკვე გამოყენებული აქვს, ახალი პრობლემის გამოვლენის შემთხვევაში კი მათ აღმოფხვრას ქართული მხარე საერთაშორისო მხარდაჭერით შეეცდება.

ფანჯიკიძისგან განსხვავებით, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე რუსეთისგან მოსალოდნელ საფრთხეებზე გააკეთა განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა. იგი არ გამორიცხავს, რომ რუსეთმა ზეწოლა განახორციელოს საქართველოსა და მოლდოვაზე.

„ჩემი მოსაზრება ეფუძნება იმ გამოცდილებას, რაც უკვე გვაქვს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რაოდენ დიდი ზეწოლა მოახდინა რუსეთმა მეზობლებზე, რომლებიც ევროკავშირისკენ ისწრაფვიან, მათ შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას აპირებენ. ამიტომ, ვფიქრობ, შესაძლოა, ჩვენ ეს ვიხილოთ მოლდოვასა და საქართველოსთან მიმართებაშიც იმის გათვალისწინებით, რომ ეს ქვეყნები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის პროცესს ასრულებენ. არ ვიცი, კონკრეტულად რა სახის ზეწოლას მოახდენს რუსეთი და რა ინსტრუმენტებს გამოიყენებს, მაგრამ თუ გამოცდილებით ვიმსჯელებთ, ეს შეიძლება იყოს გაზის ფასები, გაზის მიწოდება, სავაჭრო შეზღუდვები.

ასევე ამ ქვეყნებში სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობით და კონფლიქტების გაღვივებით დნესტრისპირეთში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. რუსეთი მზად არის, ნებისმიერი ინსტრუმენტი გამოიყენოს, რათა ეს ქვეყნები ევროკავშირისკენ არ ისწრაფვოდნენ“, — აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თვლის, რომ რასმუსენმა სწორად შეაფასა ის საფრთხე, რაც რეგიონში არსებობს.

„გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა სწორად შეაფასა ის საფრთხე, რაც რეგიონშია. ბუნებრივია, ყველა ვთანხმდებით, რუსეთის გარდა, რომ მიმდინარე მოვლენები არის პირდაპირი ხელყოფა საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო წესრიგის, რომელიც დადგენილი იყო.

რუსეთის ფედერაცია სწორედ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს არღვევს. ჩვენი გზა არის ერთადერთი — რაც შეიძლება სწრაფად გავხდეთ კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციის, ნატოს წევრი და ამ კუთხით საქართველოს მთავრობა აკეთებს ყველაფერს, შესაძლებლობების მაქსიმუმს“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ამასთან, ირაკლი ალასანიას თქმით, საქართველოს ჯარი პრაქტიკულად უკვე არის ნატოსთან თავსებადი და იმედი გამოთქვა, რომ ეს მომავალ სამიტზე ადეკვატურად აისახება.

ქართველი ექსპერტები თანხმდებიან, რომ როდესაც ნატოს გენერალური მდივანი ღიად საუბრობს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე, ამ სიტუაციაში ეს ქვეყნისთვის კარგია. როგორც გეოპოლიტიკური კვლევის ცენტრის დირექტორი თენგიზ ფხალაძე აცხადებს, საქართველო ამ საფრთხის თაობაზე დიდი ხანია საუბრობს და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როდესაც პარტნიორ ქვეყნებს ადეკვატურად აქვთ აღქმული ის ვითარება და რეალობა, რაც დღეს არის საქართველოში და საქართველოს ირგვლივ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვასილ კაჭარავა ამბობს, რომ ქვეყანა ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზეა.

„როგორც იქნა, უფრო რეალისტურად გადახედეს არსებულ საფრთხეებს და ახლა დიპლომატიურ ტერმინოლოგიას კი არ ეფარებიან, არამედ რეალურად ხედავენ, რომ რუსეთი ნებისმიერ ავანტიურაზე შეიძლება წავიდეს. ეს აჩვენა და დაადასტურა არა მარტო 2008 წლის ომმა, არამედ აჩვენა უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა და დაარწმუნა ყველა, რომ რუსეთისგან საფრთხე ძალიან დიდია და გაცილებით უფრო ფუნდამენტურად უნდა მოემზადოს თავისუფალი სამყარო. თუ ამ განცხადებებს კონკრეტულ მხარდაჭერასაც დაამატებენ, მაგას რა ჯობია, რომ როგორმე გავიართო ეს ეტაპი, რადგან, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენთვის“, — აცხადებს ვასილ კაჭარავა.

For.ge

◎ კანონპროექტი

თუ ნატოში გაწევრება გვსურს...

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ფინანსურად მეტი მხარდაჭერა სჭირდება

თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ქვედა ზღვარი კანონით იქნება დადგენილი. ამას „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ სრულიად ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც განსახილველად პარლამენტში უკვე შესულია. პროექტის მიხედვით, თავდაცვის სამინისტროს ყოველწლიური ბიუჯეტი შესაბამისი წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს.

აღნიშნული კანონპროექტით თავდაცვის სფეროში, სხვადასხვა საკითხებთან ერთად, რეგულირდება პარლამენტის, პრეზიდენტის, ეროვნული უშიშროების საბჭოს, მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ქვედა ზღვარს, რომელიც კანონით იქნება დადგენილი, თავდაცვის მინისტრი აფასებს. ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ ქვეყნის ტერიტორიის ერთი მეხუთედი ოკუპირებულია მტრის შეიარაღებული ძალების მიერ და, აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ ჩვენ გვქონდეს თავდაცვის გაზრდილი ბიუჯეტი და იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ეკონომიკით შესაძლებელი იქნება თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდა.

გეოპოლიტიკური კვლევის ცენტრის დირექტორი თენგიზ ფხალაძე ამბობს, რომ საქართველო სერიოზული საფრთხეების წინაშე დგას და, აქედან გამომდინარე, თავდაცვის სისტემების გაძლიერებაზე ზრუნვა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ქვეყნისთვის.

„შარშან იყო საკამოდ ცუდი პრეცედენტი იმისა, როდესაც თავდაცვის ბიუჯეტი შემცირდა. როდესაც ვლაპარაკობთ შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაზე, პროფესიონალიზმის განვითარებასა და ლოჯისტიკის სისტემის აწყობაზე, იქ არის ძალიან კონკრეტული ამოცანები და ბიუჯეტის პარამეტრები არანაირად არ არის გაბერილი. ვფიქრობ, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ფინანსურად მეტი მხარდაჭერა სჭირდება და ძალიან კარგი იქნება, თუ ამას კანონმდებლები გაითვალისწინებენ“, — აცხადებს „გეოპოლიტიკური კვლევის ცენტრის“ დირექტორი თენგიზ ფხალაძე.

რაც შეეხება პროექტს, რომლის მიხედვით, თავდაცვის სამინისტროს ყოველწლიური ბიუჯეტი შესაბამისი წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს, ფხალაძე აცხადებს, რომ ქვეყანა რომელიც ისწარფვის ნატოსკენ, 2 პროცენტს უნდა მიეჩვიოს.

„იმიტომ, რომ ეს არის ნატოს სტანდარტი. ნატოს სტანდარტების შესაბამისად პარამეტრები სწორედ ასე განისაზღვრება. ის პარამეტრები, რითაც დგება ბიუჯეტი, სრულ თავსებადობაშია იმასთან, რა მოთხოვნებიც აქვს ალიანსს ჩვენს მიმართ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს ამ საკითხში თავდაცვის სამინისტროს“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას თენგიზ ფხალაძე.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს წევრის თეონა აქუბარდიას განცხადებით, ახალი კანონპროექტის თანახმად ერთიანდება თავდაცვის შესახებ კანონი და თავდაცვის დაგეგმვის შესახებ კანონი. მისი თქმით, აუცლებელია, რომ მინიმალური ზღვარი თავდაცვის ბიუჯეტის კანონით იყოს განსაზღვრული.

„მივესალმები იმას, რომ თავდაცვის ბიუჯეტი იყოს შესაბამისი იმ საქმიანობის, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს და მინიმალური სტანდარტი უნდა იყოს დაჭერილი, სწორედ ამას ემსახურება ის ჩანაწერი, რომელიც არის ახალ კანონპროექტში. რა მდგომარეობაც არ უნდა იყოს ეკონომიკურად ქვეყანაში და რა შემოსავალიც არ უნდა ჰქონდეს, მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს თავდაცვის ბიუჯეტი, რათა ქვეყანამ განახორციელოს ის პრიორიტეტები რომელიც არის დაგეგმილი, რათა მოხდეს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და რაც მთავარია, მოხდეს შეიარაღებული ძალების თავსებადობა ნატოსთან“.

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ 2 პროცენტის თავდაცვის ხარჯებზე გაღება ნატოს არაოფიციალური სტანდარია.

„მართალია, ყველა მისი წევრი არ მისდევს ამ სტანდარტს, მაგრამ იგი მიღებულია როგორც არაოფიციალური სტანდარტი. ჩვენი ქვეყანა, რომელიც თავდაცვის რეფორმირების და ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფებოდა, თანაც აქვს ძალიან კონკრეტული მომავალი საფრთხეები, მათ შორის სამხედრო საფრთხეები, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მყარი გადაწყვეტილებაა.

ვფიქრობ, როგორც მინიმუმ, 2 პროცენტი უნდა იყოს, თუ არა მეტი, გამომდინარე იმ სიტუაციიდან, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, ვგულისხმობ ოკუპირებულ ტერიტორიებს და რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას ჩვენს სამეზობლოში, იქნება ეს უკრაინა, კავკასიის რეგიონი თუ პოსტსაბჭოთა სივრცე“, — ამბობს გიორგი მუჩაიძე.

თამთა ქარჩავა

◎ SIC!

სამართალდამცავებმა ინტერპოლის მიერ ძებნილი დააკავეს

შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს თანამშრომლებმა ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ბათუმში ანკარის ინტერპოლის ბიუროს მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, 1949 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე იუსუფ ტ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებული თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცველების მიერ 2014 წლის 12 მაისიდან ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნის და პროსტიტუციაში იძულებით ჩაბმის ბრალდებით.

შს სამინისტროს განცხადებით, იუსუფ ტ-მ პროსტიტუციის ხელშეწყობის მიზნით ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი ჩამოაყალიბა და საკუთარ სასტუმროს პროსტიტუციაში იძულებით ჩაბმულ პირთა დროებით საცხოვრებლად იყენებდა.

დადგინდა, რომ ბრალდებულს 2008-2009 წლებში საქართველოს გავლით სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ართვინი-სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან თურქეთის რესპუბლიკაში ჩაჰყავდა. იუსუფ ტ. მათ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს ართმევდა, შემდეგ კი უკანონოდ და იძულებით პროსტიტუციაში აბამდა.

იუსუფ ტ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის თურქეთის კანონმდებლობა 33 წლით თავისუფლების აღკვეთას, ასევე 250 000 თურქული ლირას ოდენობით ჯარიმას ითვალისწინებს.

ინტერპრესი

◎ საკანონმდებლო წინადადება

მიწას რომ ჰყიდი, უკეთესს რას ყიდულობ?!

ნებისმიერი ქვეყანა ეროვნული სიმდიდრის — წიაღისეული იქნება ეს, მიწა, ტყეები თუ კულტურული მემკვიდრეობის გარკვეული სეგმენტი, ვთქვათ, ძველი ციხე-დარბაზები, — გასხვისებას უდიდესი სიფრთხილით უდგება უწინარესად, მკაცრ კანონმდებლობაზე, ზოგჯერ კონკრეტული შემთხვევებისთვის საგანგებოდ მიღებულ კანონებზე დაყრდნობით. საქართველოსთვის, როგორც მთაგორიანი და, ამავდროულად, უძველესი აგრარული ქვეყნისთვის, ასეთი ეროვნული საგანძური, უწინარესად, სასოფლო-სამეურნეო მიწაა. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში, ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით, ასევე მავანთა მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე, მანამდე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ყველა სახის ქონება (მათ შორის, სტრატეგიული ობიექტები, ზოგჯერ მთელი დარგებიც კი) ვაჭრობის საგნად იქცა, ინტენსიურად მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე გაყიდვა. მთელი უბედურება ისაა, რომ თავის დროზე პრივატიზებულ მიწებს გლეხებიც აქტიურად ჰყიდდნენ, რადგან საკუთარი ძალებით დამუშავების არანაირი ფინანსური ბაზა არ ჰქონდათ, საბანკო სესხები კი, ყაჩაღური სიძვირის გამო, მათთვის, ფაქტობრივად, მიუწვდომელი იყო და დღესაც ასეა.

ეს პროცესი, ბუნებრივია, საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენაში უკიდურესი აღშფოთების მიზეზი იყო, შესაბამისი კანონმდებლობის გამკაცრების ინიციატივით გამოდიოდნენ როგორც არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი, ისევე ქვეყნის გამორჩეული მოღვაწეებიც. ვითარებას კიდევ უფრო მეტად ის გარემოება ამძაფრებდა, რომ გარკვეულ ჯგუფთა თუ პირთა დაინტერესების შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ამ კატეგორიიდან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიაში გადაჰყავდათ და გაცილებით იაფად, რომ იტყვიან, ჩალის ფასად ჰყიდდნენ.

ბოლოს და ბოლოს, ამ უმტკივნეულეს პრობლემას, როგორც იქნა, ერთგვარად საშველი დაადგა და პარლამენტმა მიიღო საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე გასხვისების პროცესის შემაჩერებელი კანონი — მორატორიუმი. აღსანიშნავია, რომ ამ კანონით შეზღუდვა იმ სამეურნეო სუბიექტებსაც შეეხო, რომელთა აქციონერები უცხოელი იურიდიული თუ ფიზიკური პირები არიან. ეს, ბუნებრივია, საფინანსო სექტორზეც გავრცელდა, თუმცა კი, წლეულს თებერვალში, საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ქვეყნის კომერციულ ბანკებს ეს შეზღუდვა მოეხსნათ, მაგრამ შესწორება არ გავრცელებულა საფინანსო სექტორის სხვა ობიექტებზე, მათ შორის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზეც. ამან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, როგორც ჩანს, სამართლიანი აზრით, ბაზარზე თავისუფალ და, რაც მთავარია, კონკურენტულ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. მათი განცხადებით, საფინანსო სექტორში უცხოელ აქციონერთა მონაწილეობით შექმნილი კომპანიები, კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობით შექმნილ კომპანიებთან და კომერციულ ბანკებთან შედარებით აღმოჩნდნენ არათანაბარ პირობებში, რაც სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვნად შეზღუდავს უცხოური სასოფლო-სამეურნეო სესხებით სარგებლობის შესაძლებლობას.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესყიდვაზე მორატორიუმის დაწესებამ როგორც ქართული კომბანკების, ასევე ზოგიერთი უცხოელი ინვესტორის, მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის უკმაყოფილება გამოიწვია და აქტიური მოქმედებაც დაიწყეს. ამ პროცესის ერთ-ერთი გამოვლინება „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატისა და საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარებისა და მხარდაჭერის ასოციაციის მიერ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში ერთობლივად წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ“ იყო. აღნიშნული წინადადების ავტორთა აზრით, ამ ცვლილებით საფინანსო სექტორის ყველა წარმომადგენელი, მათ შორის, საქართველოს მიკროსაფინანსო, ასევე შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები, კომერციულ ბანკებთან ერთად ერთიან და სამართლიან საკანონმდებლო სივრცეში მოექცეოდნენ. საქმე ისაა, რომ საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის აქტივები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაახლოებით ექვსჯერ გაიზარდა და დარგის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა. იგი ქვეყანაში სოლიდურ უცხოურ ინვესტიციებს იზიდავს, ამდენად, მათს წარმატებით მოღვაწეობაში, ცხადია, იქაური დამფუძნებლები და აქციონერები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკანონმდებლო წინადადება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ“ პარლამენტის აგრარული კომიტეტის სხდომაზე განიხილეს, თუმცა კი, მისმა წევრებმა ავტორთა მოსაზრება არ გაიზიარეს და შემდგომი მუშაობის დროს მათთან სათანადო კონსულტაციების გამართვის რეკომენდაცია მისცეს.

— სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მოთხოვნა და ფასი ბოლო დროს გაიზარდა, მორატორიუმს ეს პროცესი არ შეუჩერებია. სამართლებრივი პრობლემა არსებობს და მას გადაწყვეტა სჭირდება, ამიტომ მეტი კომუნიკაციაა საჭირო, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით, უცხოელებზე მიწების გაყიდვა შესაბამისი კანონმდებლობის მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული. როგორც ჩანს, ჩვენც გარკვეული გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ, ოღონდ, ცხადია, უწინარესად, ეროვნული ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ რა მოელის მეღვინეებს?

რუსეთის ბაზარი, ეკონომიკური სარგებელი და ფერმერთა წუხილი

თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული ღვინის 40-მდე კომპანია რუსულ ბაზარზე დაბრუნდა. რა შეიცვალა ამ ერთი წლის განმავლობაში კონკრეტული კომპანიებისთვის და რა ეკონომიკური სარგებელი მიიღეს ფერმერებმა, რომლებიც თავს მევენახეობით ირჩენენ?

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ სხვებთან ერთად 2013 წელს რუსულ ბაზარზე შევიდა. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ღვინოსთან ერთად კონიაკსაც აწარმოებს. შპს-ს ხელმძღვანელი ზურაბ ჩხაიძე გვეუბნება, რომ რუსული ბაზარი მათთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, არ არის ერთადერთი. ჩხაიძის თქმით, რუსეთში სამ კონტრაქტორთან მუშაობენ და თითქმის ყველა მსხვილ ქსელში არიან წარმოდგენილი. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კომპანიამ მხოლოდ რუსეთში 3 მილიონამდე ბოთლი ღვინო და კონიაკი შეიტანა. შპს „კახურ ტრადიციულ მეღვინეობაში“ ეკონომიკურ სარგებელზეც მიუთითებენ, რომელიც მოკლე და გრძელვადიან პერიოდებზეა გათვლილი.

„შეიძლება ითქვას, რომ ვაზის ნერგის დეფიციტია და მისი ფასი 3 ლარს აღემატება. თვალს თუ გადავავლებთ, ის პატარ-პატარა ნაკვეთები, რომლებიც მოუვლელი იყო, ახლა მოვლილია. გლეხი აშკარად უვლის ვენახს. ამას თუ ერთად შევკრებთ, რა თქმა უნდა, ეს პროცესი აისახა გლეხზე და ფერმერზე, რომლებიც დაკავებული არიან მცირე და საშუალო მიწის მოვლით, მევენახეობით“, — გვითხრა ზურაბ ჩხაიძემ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა აქვს 40-მდე ღვინის მწარმოებელ კომპანიას, თუმცა, კახეთში ღვინის მწარმოებელი კომპანიების ნაწილი პრობლემებზე ალაპარაკდა. კომპანია „კახური ღვინის მარნის“ ინჟინერ-ტექნოლოგი შოთა სოფრომაძე ამბობს, რომ, მისი ინფორმაციით, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო საქართველოდან რუსეთში ღვინის შეტანა შეფერხებულია:

„ჯერჯერობით გაჩერებულია. წელს, ფაქტობრივად, არაფერი ჩამოგვისხამს. ამის მიზეზი, შესაძლოა, რუბლის კურსის ცვალებადობაა. მე მგონია, რომ ეს უკრაინის მოვლენებსაც უკავშირდება, თუმცა, ყველა გვეუბნება, რომ ყველაფერი მოწესრიგდება. ჩვენ ზუსტად არაფერი ვიცით“.

ქართული ალკოჰოლური სასმელებისთვის რუსული ბაზარი 2013 წლის ივნისში გაიხსნა. ამის გამო გასულ წელს ღვინის ქარხნებმა მოსახლეობისგან მოსავალი, სხვა წლებთან შედარებით, ძვირად და დიდი ოდენობით ჩაიბარეს. ყურძენი რომ კარგ ფასად ჩააბარეს, ამის გამო კმაყოფილები არიან გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყში მცხოვრები ბერულაშვილები, თუმცა, შიშობენ, რომ თუ საქართველოდან რუსეთში ღვინის შეტანას ისევ პრობლემები შეექმნა, პირველ რიგში, ფერმერები დაზარალდებიან:

„თუ ღვინის ქარხნები არ მიიღებენ ყურძენს, ჩვენ გავკოტრდებით. ბანკებიდან კრედიტი გვაქვს აღებული და ფულს ვაბანდებთ ვენახში. თუ ამ ფულს ვერ ამოვიღებთ, აზრი არ ექნება ყურძნის მოყვანას“.

„აუცილებელია რუსული ბაზარი, რათა ქარხნებს ჰქონდეთ ყურძნის მიღების სურვილი, ჩვენ კი შესაძლებლობა, რომ მეტი ყურძენი მოვიყვანოთ და ჩავაბაროთ“.

„ჩვენ დამოკიდებულები ვართ რუსულ ბაზარზე, რადგან შარშან მისი გახსნის შემდეგ გაიზარდა ყურძნის ფასი“.

ღვინის ეროვნულ სააგენტოში ირწმუნებიან, რომ რუსულ ბაზარზე ქართული ღვინო თავისუფლად შედის. შეიძლება ქართულ კომპანიებს რუსულ ბაზარზე ისევ პრობლემები შეექმნათ? — ამ შეკითხვაზე შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ხელმძღვანელი ზურაბ ჩხაიძე გვეუბნება, რომ ეს შესაძლებელია და იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობა.

გიორგი ალადაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

◎ ახალი ტექნოლოგია

გზების დეპარტამენტი ექსპერიმენტს ატარებს

საავტომობილო **გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები გზების მოვლა-შენახვის ახალი ტექნოლოგიის, „რეჯუვასილის“ ექსპერიმენტის ჩატარებას დაესწრნენ.**

ახალი ტექნოლოგიით ასფალტის დამუშავება უზრუნველყოფს, ასფალტის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი სიცოცხლისუნარიანობის გაზრდას.

აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევში შესაძლებელი ხდება ასფალტის საფარის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა 50-60 პროცენტით. ახალი ტექნოლოგია გამოყენებული იქნა თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობაზე და მისი წარმატებით ტესტირების შემდეგ, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახალი ტექნოლოგიის გამოყენებას აქტიურად დაიწყებს.

„რეჯუვასილი“ დამზადებულია რთული ნახშირ-წყალბადების ბაზაზე. ასფალტზე მისი წასმის შემთხვევაში, იგი ღრმად აღწევს ასფალტის ზედაპირში, ამდიდრებს მას ბიტუმით და იცავს გზის საფარს დაზიანებისგან, საფარს ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს, ასევე წყლისა და ნავთობპროდუქტების შეღწევადობისგან, რაც გზის საფარის დაზიანების ძირითადი გამომწვევი ფაქტორებია.

„რეჯუვასილი“ (ლეჯუვასეალ) პირველად დამზადდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისი გამოყენება სამხედრო აეროპორტების ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების მოვლა-შენახვის მიზნით დაიწყეს. 2000-იანი წლების დასაწყისიდან კი უკვე იწყება მისი გამოყენება სამოქალაქო დანიშნულებითაც საავტომობილო გზების, პარკირების ადგილებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-შენახვის მიმართულებით.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

გაეროცოცხლება ქართულ მეხუთე კოლონაში

სანამ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა ფიქრობენ, თუ როგორ უპასუხონ რუსეთის აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ, მოსკოვი ცდილობს, მოახდინოს საქართველოში თავისი მართლმადიდებლურ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ექსპორტირება, ამას აკეთებს თბილისის პროდასავლური პოლიტიკური კონსენსუსისადმი საზოგადოებრივი უკმაყოფილების გაძლიერების მომენტში.

თბილისში ჩემი ამასწინანდელი ყოფნის დროს ერთმა ლაპარაკის მოყვარულმა ტაქსისტმა ბევრი შეკითხვა დამისვა: ჩემი ეროვნების, ოჯახური მდგომარეობის და, რასაკვირველია, ჩემი აზრის შესახებ ქართული ღვინოსა და ქალებზე. შევეცადე, მხარი დამეჭირა საუბრისთვის და ამიტომ მეც დავუსვი რამდენიმე შეკითხვა მას. ვინაიდან იმ მომენტში ბევრ ქართველს ყველაზე მეტად უკრაინის თემა აინტერესებდა, შევეკითხე მას, თუ რას ფიქრობს იგი რუსეთზე.

„რუსეთი! კარგი ხალხია, მაგრამ მას ცუდი მთავრობა ჰყავს, მთლიანად კორუმპირებული, – მკაფიოდ მითხრა მან, თან ხელებსაც იქნევდა და მიდიოდა მანქანებით სავსე თბილისის ქუჩებში პიკის საათში. – უკრაინაში იგი ყველაფრის ხელში ჩაგდებას ცდილობს. ეს საშინელებაა“.

„დასავლეთის შესახებ რას იტყოდით? ნატოს შესახებ?“ – შევეკითხე მე. თუ სჯერა ჩემს მძღოლს, რომ საქართველოს მრავალწლიანი და დაჟინებითი მუშაობა იქ შესვლის მზადების საქმეში გამოიღებს შედეგებს, და თუ ქვეყანა გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, დადგება თუ არა კონკრეტულ გზაზე წევრობისკენ ამ შემოდგომით უელსის სამიტზე?

„აა!– წაიბურტყუნა მან პასუხის ნაცვლად. მთელი მოგზაურობის მანძილზე მის სახეზე არსებული ფართო ღიმილი გაქრა, და მან ყურადღება ახლა უფრო მეტად გზას დაუთმო. – რას გააკეთებენ? რისი გაკეთება შეუძლიათ მათ? არაფრის“.

უკრაინის კრიზისი სრული სვლით მიდის და ცოტა ვინმე თუ გაიხსენებს დასავლეთში ნატოს 15 წლის წინანდელ კამპანიას იუგოსლავიის წინააღმდეგ სლობოდან მილოშევიჩის ხელმძღვანელობით, რაც 24 მარტს აღინიშნებოდა. დასავლეთში ყველასგან დავიწყებული, გარდა ისტორიკოსებისა და ერთგული ევრაზიელებისა, 1999 წლის ეს ომი ექოსავით გაისმის რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, გავლენას ახდენს რეგიონალურ პოლიტიკაზე.

მარტის ბოლოს ეს ექო გაისმა თბილისშიც, რომელიც 1900 კილომეტრით და 15 წლით არის დაშორებული კოსოვოს ომისგან. ეს ექო გაისმა პატარა კინოთეატრში საქართველოს დედაქალაქის მტვრიან და ჭუჭყიან შესახვევში. პატარა, მაგრამ სავსე სახლში, რომელსაც უწყინარი სახელი – ევრაზიული ინსტიტუტი ერქვა, აჩვენეს ფილმი, რომელიც მიძღვნილი იყო ბალკანეთში ნატოს ინტერვენციის 15 წლის იუბილესადმი. მაგრამ ეს იყო არა ისტორიული დოკუმენტური ფილმი, არამედ გაფრთხილება დარბაზში შეკრებილი ყველა ქართველის მისამართით დასავლეთის ომის შესახებ იმის წინააღმდეგ, რასაც საერთოდ „მართლმადიდებლურ ცივილიზაციას“ უწოდებენ. იქ ნაჩვენებია, რომ ნატოს მიერ განხორციელებულ დაბომბვებს თითქმის არაფერი არ ჰქონია საერთო მილოშევიჩის მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ ეს იყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შეტევის შემადგენელი ნაწილი მსოფლიო მართლმადიდებლობის დასავლური საფუძვლის წინააღმდეგ.

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივა

ბურჯანაძემ, ერთ-ერთმა პირველმა ქართულ პოლიტიკაში, დაარღვია ტაბუ და 2010 წელს დაიწყო გამოსვლა რუსეთთან ურთიერთობათა აღდგენის შესახებ. იგი არაერთგზის იყო მოსკოვში და შეხვდა მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინსა და მის შემცვლელს პრეზიდენტის პოსტზე დიმიტრი მედვედევს. ბურჯანაძე ხშირად იმეორებდა დიდი პოლიტიკის სიტყვებს, რაშიც გულისხმობდა, რომ მხოლოდ მას შეუძლია გამოიყენოს თავისი ურთიერთობანი რუსეთის ხელმძღვანელობასთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მოგონება რუსეთის შემოჭრის შესახებ და ქართველები არ დადგნენ მისი დროშის ქვეშ. 2011 წლის ბოლოსთვის. და გეჩვენებოდა, რომ ბურჯანაძის პოლიტიკური კოალიცია დავიწყებისთვისაა განწირული.

მაგრამ 2013 წლის შუა პერიოდში ბურჯანაძე დაბრუნდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, დროულად ჩაერთო საშემოდგომო პრეზიდენტის არჩევნებში. იმ დროისთვის ამბოხებულმა კოალიციამ „ქართული ოცნება“, რომელიც დააარსა და რომელსაც სათავეში ჩაუდგა მილიარდერი და მეცენატი ბიძინა ივანიშვილი, უკანა პლანზე გადასწია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. როდესაც ისწრაფვოდა, გამოეჩინა თავისი თავი 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნების დროს, ბურჯანაძემ უარი განაცხადა თავის წინა ლოზუნგზე დიდი პოლიტიკის შესახებ. მან ერთგვარად მოადუნა რიტორიკა რუსეთთან კავშირურთიერთობის შესახებ, დაიწყო თავის მხარეზე ელექტორატის იმ ნაწილის გადმობირება, რომელიც სულ უფრო მეტად გაწბილდა „ქართული ოცნებისგან“, რომელიც ვერ ასრულებს დანაპირებს უმუშევრობის დაძლევასთან დაკავშირებით. ბევრის აზრით ამ კოალიციის მოქმედებებმა ვერ უზრუნველყო წინა რეჟიმის ბოროტმოქმედებათა გამოსწორება. დასავლეთის ტრადიციული წარმოდგენების საწინააღმდეგოდ, საქართველოს რიგითი მოქალაქეები სულ უფრო ხშირად ჩიოდნენ იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ მოქმედებს ძალიან რბილად თავის წინამორბედებთან დაკავშირებით. დღესაც კი, როგორც ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებენ, ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი გამოდის დასჯითი სასამართლო მოქმედებების მხარდასაჭერად წინა რეჟიმის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. 2013 წელს ბურჯანაძემ არჩევნებში შეძლო, მიეღო ხმების 10 პროცენტი. ასეთმა შედეგმა გაწბილება გამოიწვია, განსაკუთრებით შთამბეჭდავი მიზნობრივი დაფინანსების გათვალისწინებით. მაგრამ ამან ძალიან ცოტა ვინმე თუ გააოცა საქართველოსა და უცხოეთში.

საქართველოში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ივნისის არჩევნებამდე სულ ცოტა დრო რჩება, და ბურჯანაძე კვლავ მიიწევს ბრძოლისკენ. ამჯერად მას, როგორც ჩანს, უკვე აღარ აქვს წინანდელი უხვი შემოწირულობანი, რომელიც მას ძალიან ეხმარებოდა 2013 წლის კამპანიის დროს. 2013 წელს არჩევნების წინ ბურჯანაძის სახე სარეკლამო ბანერებზე თბილისში შეიძლებოდა გეხილა უფრო ხშირადაც კი, ვიდრე „ქართული ოცნების“ კანდიდატის გიორგი მარგველაშვილისა. ამჟამად სიტუაცია სხვაგვარად გამოიყურება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

ბურჯანაძის სულ უფრო და უფრო რელიგიურ რიტორიკას შეესაბამება მისი პოლიტიკური მოქმედებებიც. დამახასიათებელია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნებზე მისი პოლიტიკური გაერთიანება „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ მიდის ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასთან კავშირში.

საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები - გადაგვირთვა

მიუხედავად ბურჯანაძის ყველა მანევრისა, კვლავინდებურად გაურკვეველია, შეძლებს თუ არა იგი, მოიპოვოს ამომრჩეველთა მეტი სიმპათიები მომავალ არჩევნებში. ამჟამად ფსონი უფრო მაღალია, ვიდრე წინა წლებში, ვინაიდან დეცენტრალიზაციაში რეფორმების შედეგად შეიძლება პირდაპირი კენჭისყრით აირჩიო მუნიციპალურ გაერთიანებათა ხელმძღვანელები. მაგრამ ადგილობრივი არჩევნები საქართველოში ტრადიციულად ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება. ამას გარდა, მართალია „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა თავისი პოპულარობის ნაწილი იმ სურვილის უქონლობის გამო, რომ იბრძოლოს უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებისთვის, იგი რჩება გაბატონებულ პოლიტიკურ ძალად ქვეყანაში და აუცილებლად შეძლებს, განიმტკიცოს პოზიცია სამთავრობო სიმაღლეებზე.

თუმცა, პრორუსულ ძალებს შეიძლება არც დასჭირდეთ დიდი გამარჯვება ზემოთ შემდგომი სვლისთვის. საქართველოში ღრმაა რელიგიური საზოგადოება, თუმცა, იგი ყოველთვის როდი ემორჩილება საეკლესიო დიქტატს. როდესაც ქართველებს რაღაც არ აძლევთ ხელს, ისინი უარყოფენ ეკლესიის მოთხოვნებს. როდესაც ეკლესიამ დაგმო წიგნები ჰარი პოტერსა და ფელოუინზე, ქართველებმა მხოლოდ მხრებიღა აიჩეჩეს. ამას გარდა, აბორტების რიცხვი საქართველოში პროცენტული შეფარდებით ერთ-ერთი ყველაზე დიდია მსოფლიოში. ყველაზე დიდი საფრთხე იმაზე არა ქართულ თეოკრატიასა და ელიტის ერთსულოვან მზადყოფნაში, ქედი მოიხაროს რუსეთის წინაშეც კი, როგორც ეს მოხდა სომხეთში. პრორუსულ ძალებს არ სჭირდებათ გამარჯვება, რომ მიაღწიონ ბევრ თავის მიზანს. არჩევნებში საზოგადოების გარკვეული მხარდაჭერის დემონსტრაცია ქუჩების მიტინგების დროსაც კი შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი, რომ შეიცვალოს ორიენტირები ქართულ პოლიტიკაში. მიუხედავად რთული საშინაო პოლიტიკისა, საქართველოს საზოგადოებაში სახეზეა ვრცელი ერთსულოვნება ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის საკითხებში, ისეთებში, როგორიცაა ნატო და ევროკავშირი. მაგრამ დასავლეთის წარმომადგენლები ასეთ საზოგადოებრივ მხარდაჭერას უყურებენ, როგორც რაღაც თავისთავადს, მიაჩნიათ, რომ მისწრაფება დასავლეთისკენ, ეს საქართველოს საზოგადოების რაღაც უცილობელი ნიშანია.

შესაძლებელია, ამ შემოდგომით მიღებული იქნეს ნატოს წევრობისთვის მზადების პროგრამა, მაგრამ ეს ერთადერთი საშუალება როდია თბილისის დაახლოებისთვის ევროატლანტიკურ გაერთიანებასთან. საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების დაგეგმილი ხელმოწერა თავისთავად იქნება მნიშვნელოვანი მიღწევა საქართველოსთვის, თუ ვივარაუდებთ, რომ ხელმოწერის ცერემონია გაიმართება გეგმის შესაბამისად ივნისში. მაგრამ უბრალო ქართველებისთვის ნამდვილი საჩუქარი გახდება იმედი ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე, უფრო შორეულ პერსპექტივაში კი – თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოველმხრივი ზონის ჩამოყალიბებაზე, რაც შექმნის არსებით უპირატესობას ქართული ექსპორტის საკვანძო კატეგორიებისთვის. ხოლო თუ უფრო შორს გავიხედავთ, არ შეიძლება უარი ვთქვათ, რომ ევროკავშირში წევრობა შეიძლება გახდეს მეტად დროული პერსპექტივა.

უკრაინა და საქართველო - ბრაგიკული პარალელები

რაც შეეხება უშიშროების საკითხებს, საქართველოს მოძრაობა ნატოს წევრობისკენ თვალსაჩინოდ უნდა დაჩქარდეს. საქართველო – ეს უფრო სტაბილური დემოკრატიაა, თუმცა, არასრულყოფილი, და სამხედრო პოტენციალიც მას უკვე ისეთი აღარ აქვს, რაც რამდენიმე წლის წინათ იყო. ეს ქვეყანა შემოსავლებით საშუალოზე ოდნავ დაბლაა, მისი საშინაო მთლიანი პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ახლოა ალბანეთთან, რომელიც ცოტა ხნის წინათ შევიდა ნატოში. მაგრამ საქართველოს ეკონომიკა იძლევა სიცოცხლის ახალ ნიშნებს, პირველ კვარტალში გვიჩვენა ზრდის ტემპი 7 პროცენტზე მაღლა. საქართველომ დაადასტურა, რომ არის უნარიანი და საიმედო პარტნიორი უშიშროების დარგში, როდესაც მისი არმიისთვის დიდი სამხედრო კონტინგენტები გაგზავნა კოსოვოში, ერაყში, ავღანეთში. მალე იგი თავის სამხედროებს გაგზავნის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. იმასთან დაკავშირებით, რომ დაახლოებით 10 ათასმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურეამ გაიარა მომზადება და სწავლება, აღიჭურვა თანამედროვე იარაღით და მონაწილეობა მიიღო ნატოს საბრძოლო მოქმედებებში, სამხედრო სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს არმია ამჟამად უფრო მეტად ბრძოლისუნარიანია, ვიდრე ალიანსის წევრი ქვეყნების ბევრი არმია. ნებისმიერი ობიექტური საზომით, საქართველო დღეს ღირსია, მიიღოს წევრობის მოქმედების გეგმა.

მაგრამ არის სხვა ვარიანტებიც. ვაშინგტონში ვიზიტის დროს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მტკიცედ განაცხადა იმის შესახებ, რომ იგი არ სთხოვს სხვებს იბრძოლონ საქართველოსთვის. უფრო მეტად, მას სურდა, ეცნობებინა ვაშინგტონისთვის იმის შესახებ, რომ საქართველომ უნდა მიიღოს ინსტრუმენტები და საშუალებები თავდაცვისთვის, კერძოდ კი, თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და ტანკსაწინააღმდეგო სისტემები. არსებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკის მთავრობა ამას დადებითად უყურებს. მან უნდა გააკეთოს ყველა შესაძლებელი იმისთვის, რომ კრემლს საქართველო მოეჩვენოს ნაკლებად მიმზიდველ სანიშნედ. თუ ვაშინგტონი ვერ შეძლებს, დაარწმუნოს მშიშარა ევროპელი მოკავშირეები იმის აუცილებლობაში, რომ შეიყვანონ საქართველო ევროატლანტიკური ალიანსის შემადგენლობაში, მას, უეჭველია, შეუძლია აიყვანოს თავისი ურთიერთობა საქართველოსთან ხარისხობრივად ახალ საფეხურზე, მიიყვანოს იგი ტაილანდთან, იორდანიასთან, არგენტინასთან და პაკისტანთან ურთიერთობის დონემდე.

მაიკლ ჰიკარი სესაირი,
ანალიგიკოსი, სპეციალისტი შავი ზღვის რეგიონში

AI THE AMERICAN INTEREST ONLINE

დედამიწის ზურგზე

ეგვიპტის ექსპრეზიდენტ ჰოსნი მუბარაძს სახელმწიფო ფონდებიდან ძურდობისთვის სამი წლის ციხე მიუსაჯეს

ისლამისტების ხელისუფლებისგან ჩამოშორების შემდეგ მუბარაქს იმედი ჰქონდა შეწყალებაზე და აპირებდა, მოეწყო მცირე ხაჯი (მილოცვა)ისლამის წმინდა ადგილებში. მაგრამ სასამართლომ ექსპრეზიდენტი და მისი ვაჟიშვილები აღიარა დამნაშავეებად სახელმწიფო ფონდებიდან მოპარვაში. მუბარაქს სამი წლის ციხე მიუსაჯეს, მის შვილებს – ოთხი.

* * *

ჩინეთმა მოუწოდა რუსეთსა და სხვა მეზობლებს, შექმნან უშიშროების ახალი არქიტექტურა აზიაში და ერთად იბრძოლონ „სამი ბოროტების“ წინააღმდეგ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ სი ცზინპინმა მოუწოდა, დაამუშაონ და დანერგონ აზიაში ყოვლისმომცველი რეგიონალური უშიშროების სტრატეგია, რომელიც აგებული იქნება თითოეული სახელმწიფოს პატივისცემაზე. ჩინელმა ლიდერმა ხაზგასმით აღნიშნა შინაგან საქმეებში ჩაურევლობის მნიშვნელობა, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა.

* * *

ბრიტანეთის პრინცმა ჩარლზმა განაცხადა: „პუტინი აკეთებს დაახლოებით იმასვე, რასაც ჰიტლერი“

რეპლიკა გაისმა ჩარლზის კერძო საუბარში კანადელ ებრაელ ქალბატონთან, რომლის ოჯახიც საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა. გამონათქვამი უმალვე გახდა საზოგადოებრიობისთვის ხელმისაწვდომი მოწმეების წყალობით, რომლებიც ესწრებოდნენ საუბარს. 6 ივნისს დედოფალი შეხვდება პუტინს საფრანგეთში ზეიმის დროს, რომელიც ეძღვნება ნორმანდიაში მოკავშირეების გადასხმის წლისთავს.

* * *

ორმაგი ტერორისტული აქტი ნიგერიის ცენტრში – დაიღუპა 118 კაცი, ათობით დაჭრილია

აფეთქებების ხმა გაისმა ხალხმრავალ ადგილებში – ავტობუსის გაჩერებაზე და ქალაქის ბაზარში. ბომბები ჩაწყობილი იყო მახლობელ ავტომობილებში. მაშველები ანგრევენ წარმოქმნილ ზვავებს. ტერორისტულ აქტში ეჭვი აქვთ ისლამისტებზე, რომლებმაც აპრილში დაახლოებით 300 მოსწავლე გოგონა გაიტაცეს.

◎ ახალი ნომერი

ორი ძიძის ხელში...

გამოვიდა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი, ქართული სიტყვიერებითი ჟურნალ „ცისკრის“ 2014 წლის გაერთიანებული (1-2) ნომერი. ჟურნალის მესვეურებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას და მკითხველს მართლაც გემოვნებით შერჩეული ნაწარმოებები შესთავაზეს, როგორც ქართული ლიტერატურის შედევრები, ასევე პროფესიონალურ დონეზე თარგმნილი უცხოური პროზა.

რუბრიკით „ასი ლექსი, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ქართველმა“ მკითხველებს **ლადო ასათიანის** უკვდავი „არ ვიცი ასე რამ შემაყვარა“ წარუდგინეს. თითქმის ოთხმოცი წლის წინ დაწერილი ეს შედევრი ყველა ქართველმა ზეპირად იცის. რუბრიკით „დისიდენტური პოეზია“ წარმოდგენილია **თამაზ ჩხენკელი**, თავისი ორი შესანიშნავი ლექსით „თავისუფლება“ და „აზეულა“.

პროზის მოყვარულები გაეცნობიან **ვახო სალიას, მანანა ავალიშვილის, დავით ქაფიაშვილის, ციცი გურიელისა** და **მამუკა ვაშაკიძის** ნოველებსა და მოთხრობებს. უცხოური პროზა **ჟან რუნოს** რომანის „ღირსების ველების“ დავით კახაბერისეული თარგმანითაა წარმოდგენილი. აქვე გაეცნობით გიზო ზარნაძის მიერ თარგმნილ აფხაზი მწერლის **ფაზილ ისკანდერის** მოთხრობას „ჩემი ყოვლად წესიერი ბიძა“. პოეზიის შესახებ გვესაუბრებიან პოეტები **ვაჟა ხორნაული** და **მარიამ წიკლაური.** ეს მეტად საინტერესო საუბარი ორი პოეტის დიალოგის სახითაა წარმოდგენილი. შესანიშნავი მხატვრის **ლევან ჭოღოშვილის** შესახებ გვესაუბრება **დიმიტრი თუმანიშვილი.** ჟურნალის ეს ნომერი, სწორედ ლევანის ნახატებითაა გაფორმებული.

ცნობილი ჟურნალისტი **თიურა ვაშაძე** ამჯერად მეუღლის, უდროოდ წასული, თაობის უნიჭიერესი პროზაიკოსის **თამაზ ბიბილურის** არქივს მიუბრუნდა. დაარღვია ბატონი თამაზის ხასიათის საუკეთესო შტრიხი, რომელსაც ყოველთვის მკრეხელობად მიაჩნდა მეუღლის მიერ მეუღლის შემოქმედებასა და პიროვნულ ღირსებებზე საჯაროდ აზრის გამოთქმა და... „ცისკრის“ მკითხველებს მწერლის არქივის დაჭაშნიკება შემოგვთავაზა.

„ზღვის ტრფიალი იყო და აკი ზღვას მიაბარა თავისი ლამაზი სული, ჩვენ კი თავისი მშვენიერი შემოქმედება დაგვიტოვა და კიდევ ის შეგონება, რომ კაცთმოყვარეობის, სიკეთისა და ადამიანური გულისხმიერების გარეშე ძლიერი პიროვნების არსებობა შეუძლებელია“ — იხსენებს დაუვიწყარ გურამ ფანჯიკიძეს **ზაალ ბოტკოველი.**

წლეულს დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა ლიტერატურამ და კერძოდ ჟურნალმა „ცისკარმა“, თითქმის ერთ თვეში მოულოდნელად გარდაიცვალნენ ჟურნალის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, შესანიშნავი პუბლიცისტი და კრიტიკოსი **ნოდარ გრიგალაშვილი** და ჟურნალის პოეზიისა და პროზის რედაქტორი, პოეტი **შერმადინ ქალდანი.** ცისკრელები ამ ორი შესანიშნავი პიროვნების გამოსათხოვართან ერთად გვთავაზობენ მათ ლექსებს.

კატო ჯავახიშვილი, ბაღათერ არაბული, ირაკლი ციგროშვილი და ნინო ჭინჭარაული მკითხველებს ახალ ლექსებს სთავაზობენ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი ფაქტიც. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით ჟურნალ „ცისკარს“ მიენიჭა არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი. ეს მართლაც ისტორიული ფაქტი და აღიარებაა 162 წლის ჟურნალისა. მაგრამ... ჟურნალს მატერიალურად ისევ უჭირს, უჭირს, რადგან მისმა დამფინანსებელმა თბილისის მერიამ ეს ფუნქცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადააბარა, ხოლო სამინისტროს ჯერ არ აუღია თავის თავზე ჟურნალის მოვლა-პატრონობა. სწორედ ამის გამოა, რომ მკითხველმაც დაგვიანებით მიიღო წლევანდელი პირველ-მეორე გაერთიანებული ნომერი, რომელიც ამჯერად თბილისის მერიის მხარდაჭერით დაიბეჭდა, არადა, წესით და რიგით, ქართველი მკითხველი უკვე ჟურნალის მეხუთე ნომერს უნდა აჭაშნიკებდეს. რა იქნება უახლოეს მომავალში ჯერ კიდევ გაურკვეველია და საუკუნენახევარს გადაცილებული ჟურნალის მთავარი რედაქტორი ბატონი ბაღათერ არაბული კვლავ მეგობრებისა და ჟურნალის ერთგული ადამიანების ქველმოქმედების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რომ როგორმე დროულად მიაწოდოს მკითხველს ჟურნალის შემდგომი ნომრები.

იმედია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გამოიჩენს სახელმწიფოებრივ გულისხმიერებას და უყურადღებოდ არ მიატოვებს „ცისკარს“ და ამ უძველესი და მარად ახალგაზრდა ჟურნალის გარეშე არ დატოვებს ძართველ მკითხველს, თორემ... ორი ძიძის ხელში „ცისკარს“ რა მოელის ყველამ უწყის.

სპარტაკ ქოგულია

◎ ალიან-ჩალიანი

ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი სიონის საკათედრო ტაძარში დაუბრძანეს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპატრიარქოდან აცნობეს, გუშინ სასწაულმოქმედი ხატი სასულიერო პირებმა ხევსურეთიდან სიონის ტაძარში მიაბრძანეს.

დღეს, წმინდა ნიკოლოზის წმინდა ნაწილების აღმოყვანების დღეს, ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ვორონცოვზე) დილიდან იქნება დაბრძანებული და იქ შუადღემდე დარჩება; შემდეგ კი დღის ბოლომდე — სამების საკათედრო ტაძარში გადააბრძანებენ. ხვალ კი, ღვთისმშობლის ხატი და ამერიკიდან ჩამოსული სტუმრები საქართველოს დატოვებენ.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი ამერიკიდან სასულიერო პირებმა საქართველოში 5 მაისს ჩამოაბრძანეს. ხატი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გადააბრძანეს, რათა მორწმუნეებს მისი მოლოცვის შესაძლებლობა ჰქონოდა.

◎ ალიან-ჩალიანი

ლალი მოროშკინა ღარიბაშვილთან შეხვედრას აპირებს

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ლალი მოროშკინამ განაცხადა ,სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მას აბსურდული ბრალდებები წაუყენა.

ლალი მოროშკინამ ბრიფინგზე „საქართველოს ბანკის“ ამონაწერი წარადგინა და განაცხადა, რომ არსად არ ფიგურირებს, რომ მას 30 ათასი ლარი აქვს დარიცხული.

„მე დღეს მოგიტანეთ წელიწადნახევრის ხელფასების ბანკის ამონაწერი და ჯამში ძალიან პატარა თანხაა. მე მაინტერესებს, რის საფუძველზე გააკეთეს განცხადება, რომ მე მაქვს აღებული 30 ათასი ლარი. აქ იკვეთება დანაშაული, მე თუ ეს 30 ათასი ლარი ქეშად მაქვს აღებული, ეს ნამდვილად არის სისხლის სამართლის დანაშაული. ჩემი ხელფასი იყო 1600 ლარი, პრემია კი გაცილებით ნაკლები“,—განაცხადა ლალი მოროშკინამ.

რაც შეეხება სად-ის ბრალდებას იმასთან დაკავშირებით, რომ ლალი მოროშკინა მანქანას ითხოვდა, როგორც მოროშკინამ აღნიშნა, მან სამსახურებრივ ავტომობილზე უარი თავად თქვა.

„მანქანასთან დაკავშირებით ბრალდებას რაც შეეხება, აქ მე მაქვს შარშანდელი (24 ივლისი) აქტი, როდესაც მე ჩემი მანქანა ავიღე, რომელიც თანამდებობრივად მეკუთვნოდა და ჩავაბარე დეპარტამენტს, იმიტომ, რომ მე მყავდა პირადი მანქანა და ვთქვი, რომ რა საჭიროა ჩემი პირადი მანქანა იდგეს სახლთან და დავდიოდე სახელმწიფო მანქანით. აგერ არის მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მე ის მანქანა დავაბრუნე. შემდეგ, 1 სექტემბერს მე წავედი მივლინებაში, ახალი გადმოსული ვიყავი მანქანიდან, როდესაც მას მეხი დაეცა და მთლიანად ჩაიტანა. აქ არის პირადი მანქანის ჩამოწერის აქტი. მიუხედავად ამხელა ზარალისა, მე არ მომითხოვია ახალი მანქანა. მე მომიწია 27-ათასლარიანი სესხის აღება და ახალი მანქანის ყიდვა“, — განაცხადა მოროშკინამ.

ლალი მოროშკინას განცხადებით, მისთვის გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ გადაუციათ. მოროშკინას თქმით, იგი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ეცდება, როგორც კი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში დაბრუნდება. ლალი მოროშკინა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მრჩევლის თანამდებობიდან გუშინწინ გაათავისუფლეს.

◎ კონცეპტუალური ანალიზი

საით მიდის საქართველო?

ამ დღეებში საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი აწყობენ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. როზეტა ასათიანის მონოგრაფიის — „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“ — პრეზენტაცია-განხილვას.

პროფესორ როზეტა ასათიანის ძირითადი სლოგანია „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. ამის დასტურია თუნდაც ახლახან გამოცემული მისი ნაშრომი — „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“.

ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით კი ეკონომისტთა საზოგადოება, კარგად იცნობს ქალბატონ როზეტას შემოქმედებით საქმიანობას. უკვე ნახევარი საუკუნეა იგი თავისი ორიგინალური ნაწერებით მკითხველს ანებივრებს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სფეროში მიმდინარე მოვლენების ანალიზით, რაც კარგად აისახა მის, როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემულ ნაშრომებში. ისიც აღსანიშნავია, რომ ავტორი არ კმაყოფილდება მხოლოდ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზით და ხელისუფლებას სთავაზობს ქვეყნის ეკონომიკის ჩიხიდან გამოსვლის საგულისხმო რეკომენდაციებს. ამის დასტურია ორიგინალური სათაურის მქონე ზემოხსენებული მონოგრაფიული გამოკვლევა — „საით მიდის საქართველო?...“ დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნაშრომს საზოგადოება დიდი ინტერესით გაეცნობა, ხოლო ხელისუფლება შეეცდება წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებას, თუ არადა, ყოველთვის იქნება კითხვა: საით მიდის საქართველო?

ჯემალ კახნიაშვილი,
თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის
რექტორი, პროფესორი.
2014 წლის 20 მაისი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- ისევ ციხეებიდან იწყება საქართველოს გათავისუფლება?
- ნაცებს და ქოცებს პლანის ერთი ბარიგა ჰყავთ?
- ვისთვისაა ეს ნიუსები მუდმივ რეჟიმში? ევროპარლამენტარს შეხვდნენ, ევროსაბჭოში სიტყვით გამოვიდნენ, რასმუსენმა დააფიქსირა თავის ურყევი პოზიცია, საქართველოს ნატოში მისწრაფების მხარდაჭერაში და ა.შ. ჯერ კაცი არ მინახავს, არც არავისგან მსმენია, რომ ეს ეთქვას ვინმეს, ან აქ დაეწეროს: — ნახე ტელევიზორში? ფანჯიკიძე ფულეს შეხვედრია, ო, რა ბედნიერებაა!
- — გვეშველა, ხალხნო! აპატურაიმ, უეჭველი მიგიღებთ ნატოშიო, ვენაცვალე ჯიგარშილ! რა მარაზმში ვცხოვრობთ! ეჰ...
- ჩვენზე დალხენილი, გახარებული და მოზეიმე ქვეყანა, მეორე არ მეგულება დუნიაზე. ყოველ ნახევარ საათში, პეტარდეების, ფეიერვერკებისა და სალუტების ისეთი ბათქა-ბუთქია ირგვლივ, აღება მიმიქარავს ბერლინის!
- თუ ოდესმე პოლიტიკაში წავედი, წინასაარჩევნოდ დედაჩემს პირი უნდა ავუსკოჩო — რამე არ წაინარმანიოს!
- არარაობავ, ინტერნეტი უნდა გერქვას შენ!
- საბჭოთა (რუსული) მულტფილმი მახსენდება ერთი, ბავშვობაში ვნახე: ჩინეთის ერთ მხარეში ბობოქრობს დრაკონი, ატეررორებს იქაურობას. სასახლეში ცხოვრობს. მიდიან რაინდები სასახლეში დრაკონთან საბრძოლველად და უკან ვერავინ ბრუნდება. დრაკონი კი ბობოქრობს. თურმე რა ხდება: გვანახებენ მორიგ რაინდს, რომელიც მიუვარდება ამ დრაკონს და დაამარცხებს — ვაშაااა! და მერე ნელ-ნელა თვითონ გადაიქცევა დრაკონად...
- 15 რიცხვში მერობის კანდიდატს ერთს ვხაზავ, მაჟორიტარს მეორეს, პარტიას მესამეს. თან 5 ნომრიდან წარმოდგენილ კომისიის წევრს დედას შევაგინებ....მოკლედ ბიულეტენი კი არა, ფერთა პალიტრა იქნება.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რაგბი

შვიდკაცა ნაკრებმა „ამსტერდამ სევენზე“ მე-2 ადგილი დაიკავა

საქართველოს კაცთა და ქალთა რაგბი შვიდის ნაკრებებმა ყოველწლიურ ტურნირზე „ამსტერდამ სევენზე“ იასპარეზეს. ამსტერდამის ტურნირი ქალთა და კაცთა ნაკრებებისათვის ევროპის გრანპრის სერიის ეტაპების წინ ბოლო მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა.

საქართველოს კაცთა ნაკრებმა ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. შვიდკაცა „ბორჯღალოსნებმა“ ფინალამდე ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს.

აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში ძირითად ნაკრებებთან ერთად საკლუბო გუნდებიც ასპარეზობენ, რომლებიც სპეციალურად ამ ტურნირისათვის იკრიბებიან.

ჩვენმა მორაგბეებმა ფინალში მძაფრი ბრძოლა გაუმართეს რაგბის კლუბ „სამურაი სევენს ინთერნეიშენელს“, რომელიც მსოფლიოს ცნობილი მოთამაშეებისგან კომპლექტდება და ასეთ ტურნირებში იღებს მონაწილეობას. საქართველოს ნაკრებმა შეხვედრა მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით დათმო — 31:35. ჩვენ ნაკრებს ბოლო ლელო რაგბი შვიდის ცნობილმა ამერიკელმა ვარსკვლავმა კარლ ილსმა დაუდო ფინალური მატჩის მიწურულს.

საგულისხმოა, რომ ამ ტურნირში ჩვენი ეროვნული ნაკრების მორაგბეებმაც იასპარეზეს. ესენი არიან: დავით კაჭარავა („ენისეი“), თედო ზიბზიბაძე („პერიგო“), ლაშა მალაღურაძე („ბაგნერე“), მერაბ კვირიკაშვილი („ვიენი“) და მერაბ შარიქაძე („ბურგ ან ბრესი“).

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი 50-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალშია

ვაჟთა შორის საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი უზბეკეთის ქალაქ კარშიში მიმდინარე 50-ათასიან ტურნირზე წარმატებულ თამაშს განაგრძობს. ქართველმა ჩოგბურთელმა უკვე მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა და 15 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა.

მე-2 რაუნდში ბასილაშვილი ტაივანელ ტაი ჩენს დაუპირისპირდა და მართალია, პირველი სეტი დათმო, საბოლოოდ 3:6, 7:6 (7:4), 6:4 იმარჯვა. შეხვედრა ორ საათსა და ორმოც წუთს გაგრძელდა და ნიკოლოზმა 14-დან 4 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, თავად კი მოწოდება 5-ჯერ დათმო. ისიც ვთქვათ, რომ ქართველმა ჩოგბურთელმა 8 ეისი მოაწოდა და 5 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ბასილაშვილს წინსვლის კარგი შანსი აქვს, რადგანაც მეოთხედფინალში ნაკლებადცნობილ ინდოელ საკეტ მინენის ეთამაშება. აღსანიშნავია, რომ აზიელი ჩოგბურთელი რეიტინგში მხოლოდ 348-ე ადგილზეა, ნიკოლოზი კი მსოფლიოს 294-ე ჩოგანი გახლავთ.

თუკი ქართველმა სპორტსმენმა მომდევნო რაუნდშიც იმარჯვა, აქტივს 29 ქულას შემატებს, ფინალი 48 ქულას იძლევა, ხოლო კარშის ჩელენჯერის გამარჯვებული მარაგს 80 ქულით გაიმდიდრებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ სამაგალითო

ქართული ჭიდაობის ამაგდარი



ახმეტის რაიონის, აწყურის საშუალო სკოლის დირექცია მ/წ 30 მაისს აღნიშნავს სკოლის ყოფილი პედაგოგის და ქართულ ჭიდაობაში დამსახურებული მწვრთნელის გიგა გიგაურის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს.

გიგა გიგაური დაიბადა 1914 წელს ახმეტის რაიონის სოფ. აწყურში. თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას გიგა გიგაური სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტის ნაკრებს ქართულ ჭიდაობაში, რომელიც მოკლე ხანში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი გახდა საქართველოში.

ბატონი გიგა 1935-40 წლებში იყო საქართველოს ორგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, შემდეგ კი აქტიურ სამწვრთნელო მუშაობას ეწეოდა სხვადასხვა უბნებზე. მისი პედაგოგიური ნიჭი განსაკუთრებით აწყურის საშ. სკოლასა და სოფელ ზემო ხოდაშნის საჭიდაო „ცირკში“ გამოვლინდა, სადაც მისი დაუღალავი შრომით მთელი ეპოქა შეიქმნა ქართული ჭიდაობის ისტორიაში.

ზემო ხოდაშნის „ცირკი“, რომელიც ერთადერთი იყო საქართველოს სოფლის რაიონების მასშტაბით, აშენდა ცნობილი პიროვნების ვახტანგ უთიაშვილის თავკაცობით. მწვრთნელებმა გიგა გიგაურმა და ნოე მაისურაძემ ხოდაშნის „ცირკი“ გადააქციეს ქართული ჭიდაობის ცენტრად. წლების განმავლობაში საქართველოს პირველობაზე გამარჯვება „ცირკში“ გამოზრდილ მოჭიდავეებს რჩებოდათ. საუკეთესო შედეგების წყალობით გიგაურის მოწაფეს ზაქრო ბაკურაძეს XX საუკუნის ქართული ჭიდაობის საუკეთესო ოსტატის სახელი მიენიჭა. ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორია სიმონ მაისურაძე, რომელმაც თერთმეტგზის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და საქართველოს ფალავნობა.

გიგა გიგაურის მოსწავლეებიდან მაღალი სპორტული შედეგების მიღწევით საქვეყნოდ ცნობილი გახდნენ: ფარნაოზ ჩიკვილაძე — მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონი სტუდენტთა შორის ჭიდაობა ძიუდოში; ზაალ ჩიკვილაძე — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი; ვლადიმერ ჩიკვილაძე — საქართველოს ჩემპიონი და მთელი პლეადა ცნობილი მოჭიდავეებისა: რევაზ მჭედლიშვილი, კაკო ბაბილაშვილი, ანზორ ფირცხელაური, თენგიზ წითელაური, ზაურ მალვენიშვილი და სხვა მრავალი.

ბატონ გიგა გიგაურს 1966 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება ქართულ ჭიდაობაში. დაჯილდოებული იყო მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი. გარდაიცვალა 1990 წელს. მისი განვლილი ცხოვრება და საქმიანობა შესანიშნავი მაგალითია მომავალი თაობის აღზრდის პროცესში.

აწყურის საშუალო სკოლის პედკოლექტივი

◎ კალათბურთი

მარკოიშვილის „გალათასარაიმ“ ნახევარფინალის საგზური მოიპოვა

მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაიმ“ თურქეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალური სერია თანაქალაქელ „ბეშიქთაშთან“ საშინაო მარცხით დაიწყო, თუმცა, შემდეგ მეტოქეს 2 მატჩი მოუგო და მომდევნო ეტაპზე გააღწია.

სტამბოლური დაპირისპირების მე-3 გადამწყვეტ შეხვედრას „გალათასარაიმ“ უმასპინძლა და 78:65 იმარჯვა, თანაც გამარჯვებას საფუძველი პირველივე მეოთხედში ჩაუყარა, რომელიც 22:11 მოიგო.

მარკოიშვილმა ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მატჩი სწორედ მისი ზუსტი სამქულიანით გაიხსნა, სულ კი 24 წუთში მანუჩარმა 9 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

ქართველმა მცველმა ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა და 4 პერსონალური ფოლი მიიღო.

მასპინძელთაგან 10-ქულიან ზღვარს მხოლოდ სინან გიულერი (15) და კარლოს არაოი (12) ასცდნენ, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე კი „ბეშიქთაშის“ ამერიკელი ლეგიონერი კრის ლოფტონი გახდა 24 ქულით.

ნახევარფინალში „გალათასარაი“ რეგულარული პირველობის გამარჯვებულ „ბანვითს“ ეთამაშება, მე-2 ფინალისტის ვინაობა კი „ფენერბაჰჩეს“ და „ქარშიაქას“ დაპირისპირებაში გაირკვევა.

* * *

სუპერლიგა. მატჩი III ადგილისთვის. „არმია“ — „ბათუმი“ 115:105 (II დამატებით დროში).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მუნდიალის წინ

მექსიკის ნაკრების წევრებს სექსი აუკრძალეს

მექსიკის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მიგელ ერერამ ფეხბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატის დროს სექსი აუკრძალა.

ეს როგორც მარტოხელებს, ასევე დაოჯახებულებს ეხებათ. გარდა ამისა, მექსიკელ მოთამაშებს სიგარეტის მოწევა და ალკოჰოლის მიღების ნებაც არ ექნებათ.

„თუ ფეხბურთელი 20-30 დღე სექსის გარეშე ვერ ძლებს, პროფესიონალი არაა“ — იუწყება Sportsworldnews.com-ი ერერას სიტყვებს.

შეგახსენებთ, რომ მექსიკა მსოფლიო პირველობაზე ჯგუფში ბრაზილიასთან, ხორვატეთთან და კამერუნთან ერთად ითამაშებს.

გიორგი ფოთაძე

◎ გამოიცა

„სულიკო და მისი ხუთეული“

„ეს არის ჩემი მეოთხე წიგნი სერიიდან „სულიკო და მისი ხუთეული“. დიახ, ეს ახალი სერიაა, ახლად გააზრებული და მავანთაგან სულშთაბერილი“ — ასე იწყება ცნობილი ჟურნალისტის **დავით ჭელიძის** წიგნი „კალათბურთი ჩემი ცხოვრებაა“, რომელიც ვეტერანი კალათბურთელის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საკალათბურთო კლუბ „ქუთაისი 2010“-ის მწვრთნელის ამქვეყნიდან უდროოდ წასული **გელა დარსაძის** ცხოვრებასა და სპორტულ შემოქმედებას ეძღვნება.

ბატონი დავითი თავდაპირველად ტრილოგიის შექმნას აპირებდა **სულიკო თოთლაძესა** და მის ორ ყველაზე წარმატებულ აღზრდილზე, ოლიმპიურ ჩემპიონებზე **ზურაბ საკანდელიძესა** და **მიხეილ ქორქიაზე.** ამ წიგნებმა დღის სინათლე უკვე იხილა და ქართველი სპორტის ქომაგებისთვის მართლაც სასაჩუქრე წიგნებად იქცა. როდესაც ბატონ დავითს აწგარდაცვლილი დიდოსტატის გელა დარსაძის მეუღლე ქალბატონი **ნინო ადამია** ესტუმრა თხოვნით, რომ გელაზე წიგნი შექმნილიყო (და სხვათა შორის საჭიროც იყო, რადგან მომავალ თაობებს მხოლოდ გადმოცემით არ ცნობოდათ ცნობილი კალათბურთელის მიღწევების შესახებ), მაშინ დაიბადა იდეა სერიალს, ანუ ტრილოგიას ორი დიდოსტატის მსოფლიო ჩემპიონ **ნიკოლოზ დერიუგინისა** და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრის **ზურაბ გრძელიძის** სპორტული მიღწევების ამსახველი წიგნებიც შემატებოდა და ერთიან სერიაში „სულიკო და მისი ხუთეული“ გაერთიანებულიყო. წიგნი ქალბატონი ნინოს დაფინანსებითა და ხელშეწყობით გამოვიდა.

რაც შეეხება გელა დარსაძეს, იგი ხომ 80-იანი წლების ქართული კალათბურთისა და თბილისის „დინამოს“ კორიფე, ერთ-ერთი ლიდერი და უძლიერესი მოთამაშე გახლდათ. ბატონმა დავითმა უზარმაზარი შრომა გასწია, რათა ყველა-ფერი შეეკრიბა დიდი კალათბურთელის შესახებ, რომელიც შარშან 51 წლის ასაკში გარდაიცვალა. თითქმის ოცი წელი შეალია საყვარელ საქმეს გელამ და ქართველი გულშემატკივრის გულში დაივანა. ეს წიგნიც მისი ტალანტისა და ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის მატიანეა.

გეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

მომხიბლავი გაბრიელას ამბავი

ევროპული და განსაკუთრებით კი ესპანური მედია ძირითადად ორადაა გაყოფილი. ერთი „რეალზე“ საუბრობს, მეორე — „ატლეტიკოზე“. გასულ კვირას კი ორივე 20 წლის ბრაზილიელ მოდელზე საუბრობდა.

გაბრიელა ლენზი მოდელი და ამავე დროს სკეიტერია. ლამაზმანი ბარსელონაში შეამჩნიეს, სადაც ესპანური პრესის ინფორმაციით, ის ნეიმართან პაემანზე იყო.

გავრცელდა ხმები, რომ გაბრიელა ბრაზილიელი ნეიმარის ახალი მეგობარი გოგონაა ან სულაც, შესაძლოა, ეს ცნობა ჭორი აღმოჩნდეს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გაბრიელა შესანიშნავად გამოიყურება და მისი ნახვა ერთ რამედ ღირს...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ტურიზმი

მანიპულაციები უკრაინელი ტურისტების თაობაზე

უკრაინელი ტურისტების მოზიდვასთან დაკავშირებით მსჯელობა და კამათი არ წყდება. ვრცელდება ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაც. თუკი საქართველოს შავიზღვისპირეთში მდებარე სასტუმროების მფლობელები აცხადებენ, რომ უკრაინიდან ტურისტების ნაკადმა უკვე მოიმატა, თავად უკრაინელი ტუროპერატორები სულაც არ ფიქრობენ ასე. სანამ ზაფხულის ტურისტული სეზონი არ დასრულდება და კონკრეტული შედეგები არ გაცხადდება, ეს საკითხი მუდმივად განხილვის საგანი იქნება.

ამჯერად კი უკრაინელი ტუროპერატორების ინფორმაცია გავრცელდა და ისინი თანამემამულეების მხრიდან საქართველოსადმი ინტერესის მკვეთრ მატებაზე ვერ საუბრობენ და საქართველოში უკრაინელი დამსვენებლების გაორმაგებას არ პროგნოზირებენ.

„კალიფსო-უკრაინის“ მენეჯერის ირინა გურიენკოს განცხადებით, საქართველოსადმი უკრაინელ ტურისტებს ინტერესი ყოველთვის ჰქონდათ, თუმცა, ბოლო პერიოდში საქართველოში უკრაინელი ტურისტების განსაკუთრებული ნაკადი მას არ შეუმჩნევია, მით უფრო იმ სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც ახლა უკრაინაშია შექმნილი.

„უკეთესის იმედი გვაქვს. საქართველო ყირიმისთვის მშვენიერი ალტერნატივაა, ჩვენ სხვადასხვა კატეგორიის ტურისტები გვყავს“, — განაცხადა გურიენკომ და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუკი საქართველოში ტურისტული სერვისის ფასი დაიკლებს.

უკრაინულ ტურისტულ კომპანია „გრუფ თრეველში“ კი „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ დანამდვილებით იმის თქმა, რომ ყირიმზე ორიენტირებული ტურისტების ნაწილი საქართველოზე გააკეთებს არჩევანს, შეუძლებელია, რადგან საქართველოს გაუჭირდება კონკურენციის გაწევა ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა თურქეთი და ეგვიპტე.

ტურიზმის ექსპერტი მაია სიდამონიძე მიიჩნევს, რომ ყირიმიდან ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობა არის, მაგრამ კვლევაა ჩასატარებელი, რა სეგმენტი დადიოდა ყირიმში, რა მოთხოვნები გააჩნიათ მათ, დააკმაყოფილებს თუ არა საქართველოს ზღვისპირა ზოლი მათ მოთხოვნებს და ა.შ.

საქართველოს ტურისტული ბიზნესის მთავარ სამიზნედ ჯერჯერობით, უკრაინასთან ერთად, რუსეთი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები რჩება. ამიტომ, სიდამონიძე თვლის, რომ საქართველომ უნდა იზრუნოს ბაზრების დივერსიფიკაციაზე:

უკრაინიდან ტურისტების ნაკადის გაზრდაზე დიდ იმედებს ამყარებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა: „ჩვენ გვაქვს გეგმა და სტრატეგია... საუბარია, უკრაინიდან ტურისტების რაოდენობის გაორმაგებაზე. შარშან გვყავდა 125 ათასი ტურისტი და ამ რაოდენობის 100%-ით გაზრდა გვინდა წლევანდელი ზაფხულის ხარჯზე“.

ამიტომაც საქართველოში გაიმართება „კრიმფესტისა“ და „კაზანტიპის“ ანალოგი ფესტივალი, რომლებიც ყირიმში ტარდებოდა. „უკრაინულ პრომოუტერულ კომპანიებთან შეთანხმება მიღწეულია, რომ „კაზანტიპის“ ელექტრონული მუსიკის ფესტივალი ჩატარდება ანაკლიაში, ხოლო „კრიმფესტის“ ორდღიანი ანალოგი ფესტივალი ჩატარდება ბათუმში, სადაც წარმოდგენილი იქნება 10 ევროპელი მომღერალი ვარსკვლავი“, — განაცხადა სიგუამ.

წლების განმავლობაში ტურიზმის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ამ ბიზნესიდან მიღებული მოგება და, 2012 წლის მონაცემების თანახმად, შემოსავალმა ერთ მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ჯერჯერობით უცნობი რჩება 2013 წლის ოფიციალური მონაცემები. ცნობილია მხოლოდ 10 თვის სტატისტიკა, რომელიც, ტურისტული ნაკადის ზრდის მიუხედავად, შემოსავლების შემცირებაზე მიუთითებს.

ბექა დანელია

იარაღის ტარების უფლება მიეცათ

შესაბამისი ცვლილებები „იარაღის შესახებ“ კანონში განხორციელდა. აღნიშნულ კანონში დადგენილია იმ თანამდებობის პირთა წრე, ვისაც უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება ეძლევათ. ესენი არიან: თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილი მოხელეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოხელეები, იუსტიციის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი მოხელეები, ფინანსთა სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი პირები, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი მოხელეები, დაზვერვის სამსახურის უფლებამოსილი მოხელეები, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფლებამოსილი მოხელეები, პროკურატურის უფლებამოსილი მოხელეები, მოსამართლეები, სასამართლოს მანდატურები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები, ეროვნული ბანკისა და საბანკო დაწესებულებების ინკასატორები და მოლარეები (სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას), „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი პირები (სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, განსაკუთრებული მნიშვნელობის, ფულადი და სხვა ფასეული საფოსტო გზავნილების გადატანა-გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფად, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას), სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლები (სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას), სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის წევრები, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და წევრები, საჯარო თანამდებობის პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებები ან უფროსი და უმაღლესი ოფიცრის სამხედრო წოდებები.

„იარაღის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებით, აღნიშნულ ჩამონათვალს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი და საბჭოს აპარატის უფლებამოსილი მოხელეები დაემატა.

ინტერპრესი

ბაზრობებზე სალარო აპარატების გარეშე ვაჭრობა 2015 წლის 1 იანვრამდეა შესაძლებელი

ბაზრობებზე მოვაჭრეებს სალარო აპარატების გარეშე საქმიანობის უფლება გაუხანგრძლივდათ. პარლამენტის მიერ საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ამოქმედდა, რომლის მიხედვით, ბაზრობის მოვაჭრეებს აღნიშნული საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლება კიდევ ერთხელ — ამჯერად 2015 წლის 1 იანვრამდე გაუგრძელდათ. მათ სალარო აპარატების გარეშე საქმიანობის შესაძლებლობა მომავალ წლამდე ექნებათ, ნაცვლად მიმდინარე წლის 1 ივლისისა, როგორც ეს „საგადასახადო კოდექსში“ იყო გათვალისწინებული.

განცხადება

ა. წ. 20 ივნისს 15 საათზე ტარდება სს „ელექტრონიკა-94“-ის აქციონერთა საერთო კრება, დღის წესრიგით:

1. საზოგადოების სამეურნეო ანგარიში 2012 წლის 31 დეკემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

მომხს. გ. ჩიქოვანი (მთავარი ბუღალტერი).

მისამართი: გამსახურდიას გამზ. №14.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად უსამძიმრებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ბატონ რიჩარდ ნორლანდს ძვირფასი

დედის

გარდაცვალების გამო.

გამომცემლობები „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მხატვარი-გრაფიკოსი, ქართული წიგნის დიდი ამაგდარი

ვახტანგ რურუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზაურ ფიფიას ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი პიროვნებისა და შემოქმედის, მხატვარ

ვახტანგ რურუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის ვეტერანთა საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კრწანისის ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარეს გოჩა ბაქრაძეს გარდაეცვალა დედა

მედეა ბაქრაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ჯანმრთელობის დაცვა

თბილისის 30-მდე საბავშვო ბაღში მენინგიტის შემთხვევა გამოვლინდა

როგორც საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა რამაზ სულამანიძემ განაცხადა, ინფიცირების შემთხვევები დაახლოებით 30-მდე ბაღში დაფიქსირდა. მისივე თქმით, მენინგიტის გამოვლენის შემთხვევისთანავე, საბავშვო ბაღში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების კურატორობის ქვეშ დეზინფექცია ხორციელდება და დაწესებულება მუშაობას ერთი დღით წყვეტს. მისივე ინფორმაციით, დეზინფექციის შემდეგ საბავშვო ბაღი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს.

ამასთან, რამაზ სულამანიძის ცნობით, საბავშვო ბაღებში ბავშვების რაოდენობამ იკლო, რადგან მშობლებს დაწესებულებაში აღსაზრდელები არ დაჰყავთ.

მისივე ინფორმაციით, 46-ე საბავშო ბაღში 6 ბავშვი დაინფიცირდა, სადაც სასწავლო პროცესი ორი დღით შეჩერდება.

21 მაისის დილის მონაცემებით, ვირუსული მენინგიტის 142 შემთხვევაა დაფიქსირებული. ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ყველა შემთხვევა საშუალო და მსუბუქი მიმდინარეობის არის. 87 პაციენტი მკურნალობის კურსს იაშვილის კლინიკაში გადის, დაუზუსტებელი მონაცემებით, 16 შემთხვევა გამოვლინდა ქუთაისში, ხოლო დაზუსტებული მონაცემებით, 4 შემთხვევა დაფიქსირდა — ბათუმში.

რაც შეეხება ასაკობრივ განაწილებას, ვირუსული მენინგიტის გამოვლენა დაუდგინდა მინიმალური ასაკის მქონე ორი წლის, ხოლო მაქსიმალური ასაკის მქონე 34 წლის პაციენტს.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნა, ამ ტიპის დაავადებას, სპეციფიკური ვაქცინა არ აქვს, მასობრივი დეზინფექცია არ აჩერებს და ერთადერთი ეფექტური საშუალება პირადი ჰიგიენის წესების დაცვაა. მისივე თქმით, პანიკის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება მკურნალობის ტაქტიკას, მინისტრის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, საავადმყოფოებში განსაკუთრებული ავარიული მდგომარეობა არ არის.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა 27 ამბულატორია დაამონტაჟა

საქართველოს მასშტაბით 82 ახალი ამბულატორიის მშენებლობის პროექტის ფარგლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 27 ამბულატორია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უკვე დაამონტაჟა. პროცესი გრძელდება და წლის ბოლომდე 82 ამბულატორია დამონტაჟდება. მშენებლობისთვის საქართველოს მთავრობამ 2,4 მილიონი ლარი გამოყო. ამბულატორიებს მუნიციპალიტეტების მიერ სპეციალურად შერჩეულ ტერიტორიაზე მუნიციპალური განვითარების ფონდი ამონტაჟებს. პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთობლივად ახორციელებენ.

იმერეთის რეგიონში ხუთი ამბულატორია უკვე დამონტაჟებულია. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში — 8 ამბულატორია, აჭარის რეგიონში ჯერჯერობით ერთი ამბულატორიაა დამონტაჟებული.

კახეთის რეგიონში ფონდმა 8 ამბულატორია დაამონტაჟა. ქვემო ქართლის რეგიონში — ორი ამბულატორია.

შენობა მომზადებულია სენდვიჩპანელებისგან, რომელიც 2 გამათბობლითა და 2 სველი წერტილით არის აღჭურვილი.

განცხადება

2014 წლის 18 ივნისს დღის 12 საათზე დანიშნულია სს „ლაღიძის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2013 წლის წლიური ბალანსის განხილვა.
2. სხვადასხვა.

სს „ლაღიძის“ ადმინისტრაცია

მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის 150.

◎ ძველი სიბრძნე

ციცერონის შეგონებანი



6 შეცდომა, რომელსაც ადამიანი საუკუნეთა განმავლობაში უშვებს

იმის რწმენა, რომ შესაძლებელია სხვისი განადგურებით რაიმე სარგებელი მივიღოთ;

დარდი იმ საგნებსა და მოვლენებზე, რომელთაც ვერც შეცვლით და ვერც გამოვასწორებთ;

დაჟინებით მტკიცება, რომ რაიმე შეუძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი მიღწევა;

უმნიშვნელო, წვრილმან მოთხოვნილებებზე დამოკიდებულება;

გონებრივი განვითარებისა და სრულყოფის უგულებელყოფა;

იმის ცდა, რომ სხვებიც ვაიძულოთ იწამონ ის, რისიც ჩვენ გვწამს და იცხოვრონ ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ.

მარკუს ტულიუს ციცერონი,
რომაელი პოლიტიკოსი, ადვოკატი და პოლიტიკური მოაზროვნე, ძველი რომის ყველაზე სახელგანთქმული ორატორი და კონსული გახლდათ ძვ. წ. ა. I საუკუნეში.

მოამზადა
ლილუ მირუტაძემ

◎ მცირე ენციკლოპედია

ქალის ხვედრი იტალიაში

საერთაშორისო ასოციაციის „გრანტ ტორნტონის“ წევრების დასკვნით ევროპაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალებზე გაცილებით მეტნი მამაკაცები არიან.

მათ მსოფლიოში 26 ქვეყანაში შვიდ ათასზე მეტი დიდი და საშუალო კერძო კომპანიის ხელმძღვანელი გამოკითხეს. შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ საწარმოთა 40 პროცენტს რაიმე ხელმძღვანელ თანამდებობაზე ქალები საერთოდ არა ჰყავთ!

„ინსტიტუტ ოფ დირექტორსის“ მონაცემებით, ბრიტანულ კომპანიებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ქალები 20 პროცენტით ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე ასეთივე თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცები. ამერიკული ჟურნალის „ნიუსუიკის“ ინფორმაციით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე 45 პროცენტი ქალია, დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 33 პროცენტს უდრის, საფრანგეთში – 30 პროცენტს, შვედეთში – 29 პროცენტს, ყველაზე ცოტა ხელმძღვანელი ქალი კი – 18 პროცენტი – იტალიის ფირმებშია.

ღორმუცელობა მოცალეობის ჟამს

ბრიტანელ **დიეტოლოგთა გაანგარიშებით, დიეტაზე მყოფ ადამიანთა დაახლოებით სამი მეოთხედი, დასვენების დღეებში კვების ყოველკვირეული რაციონის ნახევარზე მეტს ჭამენ.**

ამის შედეგად ზრდასრული ადამიანი დღის განმავლობაში ზოგჯერ 3,5 ათას კალორიაზე მეტს მოიხმარს ხოლმე. მათ შორის, მამაკაცებს, ჩვეულებრივ, დღეში 2,5 ათასი კალორია სჭირდებათ, ქალბატონებს – 2 ათასი.

გამოკითხვით დადგინდა, რომ მამაკაცთა 57 პროცენტი დასვენების დღეებში რეგულარულად 10 ათას კალორიას მოიხმარენ. ბევრმა გამოკითხულმა აღიარა, რომ შაბათ-კვირის ღამეს ტელევიზორთან ატარებენ, რა დროსაც ნამცხვარსა და ჩიფსებს მიირთმევენ. ჭარბი კალორიების მიღების სხვა მნიშვნელოვანი წყაროა ალკოჰოლი: თითქმის ყველა გამოკითხული დასვენების დღეებში გაცილებით მეტს სვამს, ვიდრე კვირის სხვა დღეებში.

მისაბაძია ეს კაცი, აბა რა!

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა ბილ გეითსმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მოსაზრება, თითქოს ქვეყანაზე სიღარიბე და ავადმყოფობები დაუძლეველი პრობლემებია.

გაზეთ „დეილი მეილის“ ცნობით, თავის ტრადიციულ წერილში, რომელსაც „ბილ ენდ მელინდა გეითს ფონდის“ სახელით აქვეყნებს, უახლოესი ორი ათასწლეულის პროგნოზი გამოთქვა. მისი აზრით, 2035 წლისთვის მსოფლიოში ღარიბი ქვეყნები აღარ იქნება, სახელმწიფოების შემოსავლის 70 პროცენტზე მეტი იქნება, ვიდრე ამჟამად ჩინეთის დღევანდელი სახელმწიფო შემოსავალია.

იგი ასევე მიიჩნევს, რომ ამ დროში ათიდან ცხრა ქვეყნის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დღესდღეობით ინდოეთში აღნუსხულ მაჩვენებელს გადააჭარბებს. ამასთან, მან აღიარა, რომ ზოგიერთი ქვეყნის, კერძოდ, ჩრდილოეთ კორეის განვითარება, ომებისა და ხელისუფლების პოლიტიკის მიზეზით ფერხდება. ამის მიზეზად მან ასევე ყველა ქვეყანაში გაბატონებული უთანასწორობა აღნიშნა.

თავად ბილ გეითსისა და მისი მეუღლის ფონდის მოღვაწეობა უაღრესად შთამბეჭდავია. ამ ორგანიზაციამ სოფლის მეურნეობის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროები უკვე 28 მილიარდ დოლარზე მეტით დააფინანსა!

ხუმრობის ასაკი

კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთ თითქოსდა ჩვეულებრივ ნათქვამებში, მაგალითად, „დიდი მადლობა!“, „რა კარგია!“ და ა.შ. ზოგჯერ ჩაქსოვილი სარკაზმის თუ დაცინვის გამოცნობას ადამიანი რვა წლის ასაკისთვის სწავლობს.

სწორედ ამ ასაკის ბავშვებს სთავაზობდნენ სათამაშოების დახმარებით გათამაშებულ სცენებში სარკაზმის გამოცნობას. სხვადასხვა სათამაშოებით და განსხვავებული სცენარებით გათამაშებულ სცენებში ამის გაკეთება თითოეულ ბავშვს თორმეტჯერ მოუწია.

ექსპერიმენტის მონაწილეებმა დაფარული სარკაზმის შემთხვევა დადგმული სცენების ნახევარში გამოიცნეს, განსაკუთრებით მგრძნობიარე ბავშვებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო. 6-7 წლის ბავშვებში დასმული ამოცანის შესრულება ნულოვანი აღმოჩნდა.

ყველაზე მძიმე ცოდვა

საბჭოურმა წლებმა, როცა ეკლესიაში სიარული მართლაც რომ სახიფათო იყო, თავისი შავბნელი საქმე მაინც გააკეთეს. ჩვენდა სამწუხაროდ, რელიგიის შესახებ ჩვენ უმნიშვნელოვანესი რამეებიც კი არ ვიცით. ამიტომაა, რომ გაცხარებით ვკამათობთ იმის შესახებ, თუ რა არის საშინელი ცოდვა და რაა ისეთი რამ, რაც მამაზეციერმა შეიძლება შეგვინდოს.

ყველაზე დიდი ცოდვაა, რაღა თქმა უნდა, თვითმკვლელობა, ვინაიდან მისი გამოსწორება შეუძლებელია. ეს ერთადერთი ცოდვაა, რომლის მონანიება და, შესაბამისად, ღმერთისგან პატიების მიღება და სულის გადარჩენა შეუძლებელია. ვთქვათ, გაყრილი მეუღლეები შესაძლებელია რომ შერიგდნენ, მოპარულის უკან დაბრუნება შეიძლება, თვითმკვლელობას კი აღარაფერი არ ეშველება. სხვა ცოდვების მკაფიო დაყოფა მართლმადიდებლობაში არ არსებობს. ყველაზე პატარა ცოდვაც კი, თუკი ის მოუნანიებელი დარჩა, შესაძლოა, სულის სიკვდილით დასრულდეს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ეძიმი ტელეფონით ურეკავს თავის კლიენტს.

— მისმინე, არ ვიცი, რა ვქნა. კომპიუტერი გამიფუჭდა, ისე კი არ მახსოვს, რა დიაგნოზი დავუსვი შენს ცოლს: არ ვიცი, წინასაინფარქტო მდგომარეობა აქვს თუ სიფილისი სჭირს.

— და მე რა ვქნა?

— იცი რა? ათკილომეტრიანი კროსის გარბენა აიძულე. და თუ არ მოკვდება, ახლოს არ გაიკარო!

* * *

მოკვდა სტუდენტი.

— სად გაგამწესოთ, ჩვეულებრივ ჯოჯოხეთში თუ სტუდენტურში? — ეკითხებიან მას ჯოჯოხეთის კანტორაში.

— მომწყინდა სტუდენტური ცხოვრება, საერთო საცხოვრებლები, სემინარები, ჩვეულებრივ ჯოჯოხეთში გამიშვით.

გაგზავნეს. დადის სტუდენტი და ტკბება პატარ-პატარა სიხარულებით — ლუდი, გოგოები, გართობა... ერთი კია — ყოველ საღამოს მოდის ეშმაკი და მთელ კაიფს უფუჭებს — უკანალში ლურსმანს უჭედებს.

გადაირია სტუდენტი, — არ მინდა აქ, სტუდენტურ ჯოჯოხეთში გამიშვითო.

გაუშვეს. იქ გოგეები თვითონ ეკიდებიან კისერზე, ლუდი ულევად მოედინება და, რაც მთავარია, ეშმაკი არ მოდის. გავიდა თითქმის ნახევარი წელიწადი... და უცებ ეშმაკიც გამოჩნდა უზარმაზარი ლურსმნების ყუთით.

— ვინა ხარ? — ეკითხება სტუდენტი.

— სესია ვარ!

* * *

— **იცით,** ბავშვებო, თუ ვინმე ცუდად ხედავს ცალი თვალით, მეორე თვალით, როგორც წესი, უკეთ ამჩნევს ყველაფერს, — ამბობს მასწავლებელი. ვინმეს შეგიძლიათ ანალოგიური მაგალითის მოყვანა?

— თუ ვინმეს ერთი ფეხი მოკლე აქვს, მეორე, როგორც წესი, მასზე გრძელია, — წამოხტება მიხო.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24